სტრატეგიული განვითარების სამოქმედო

გეგმის მონიტორინგისა და შეფასების

ა ნ გ ა რ ი შ ი

საანგარიშო პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი
ანგარიშის შედგენის თარიღი	2022 წლის 30 აგვისტო

აქტივობა 1.1.1	**საერთაშორისო აკრედიტაციის მისაღებად შესაბამისი ორგანიზაციის შერჩევა და პროცედურის ორგანიზება**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: სტრუქტურირებული ინტერვიუ, დახურული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პასუხისმგებელი პირები, დეკანები (8).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გრუნი ერთი წელია განიხილავს ვებსტერის უნივერსიტეტთან თანამშრომლობისა და ერთობლივი პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. 2019 წლის 31 ოქტომბერს კი ხელი მოეწერა თანმაშრომლობის მემორანდუმს, რომლის საფუძველზე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ რამდენიმეთვიანი სასწავლო კურსი გაიარონ ამ უნივერსიტეტში, შეიძინონ ცოდნა და ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ ევროატლანტიკურ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებს, სწავლის დასრულების

	შემდგომ კი მიიღონ ორივე უნივერსიტეტის დიპლომი და აკადემიური ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირების ან ფსიქოლოგიის მიმართულებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ თანამშრომლობა მოიცავს სამაგისტრო საფეხურსაც. ბიზენსის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ ჩვენს უნივერსიტეტში გაიარონ ვებსტერის უნივერსიტეტის MBA პროგრამა (გრუნის მინიჭებული აქვს ამ პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება ვებსტერის უნივესრიტეტის პროფესურის მონაწილეობით) და მიიღონ ვებსტერის უნივერსიტეტის MBA აკადემიური ხარისხი და დიპლომი. https://gruni.edu.ge/main/news/1572592964 2020 წელს ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო აღნიშნული მიზნის განსხორციელებლად საჭირო პროცედურები გადაიდო შემდეგი საანგარიშო პერიოდისთვის. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა**

აქტივობა 1.1.2	**პროგრამებისა და მათი განხორციელების ხარისხის შეფასება და უკუკავშირის უზრუნველყოფა**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ. მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: სტრუქტურირებული ინტერვიუ. ონლაინგამოიკითხა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სწავლების ხარისხზე პასუხისმგებელი პირები, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, (სულ 17).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	ქვეყანაში შექმნილ ეპიდემიოლოგიურ ვითარებასთან დაკავშირებით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გამო, მნიშვნელოვანი გახდა online-სწავლებისა და შეფასების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ნექსუსში ინტეგრირებულ იქნა მრავალფუნქციური პლატფორმა

	jitsi.org. ეს არის ღია კოდის ლიცენზირებაზე, ანუ უფასო გავრცელებაზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სინქრონული online-კურსების ჩატარებას ლექტორისა და სტუდენტის აქტიური მონაწილეობით. იგი შესაძლებლობას აძლევს ლექტორს/სტუდენტს online ფორმით გადასცეს/მოისმინოს ლექცია, გააზიაროს ეკრანი (იგულისხმება ვიზუალური მასალის გაზიარება), პასუხი გასცეს სტუდენტის/ლექტორის შეკითხვებს, ჩაერთოს სემინარის, დისკუსიის პროცესში, შეაფასოს სტუდენტის აქტივობა, აწარმოოს online-ჩატი და ა.შ. სისტემაში ჩართვა შესაძლებელია მობილური ტელეფონებითაც. დროის ნებისმიერ მონაკვეთში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია როგორც ლექტორის მიერ ჩატარებული online-სწავლება/შეფასების, ისე სტუდენტთა დასწრების შესახებ. უნივერსიტეტის სტუდენტთა 92,7% სისტემატურად არის ჩართული online-სწავლების პროცესში. მათთვის, ვინც ინდივიდუალურ მიზეზთა გამო ვერ იღებს ელექტრონული სწავლების პროცესში მონაწილეობას, ხელმისაწვდომია ნექსუსზე ატვირთული ვიდეოლექციები, სასწავლო მასალები და დავალებები, საკონსულტაციო საათები და სხვ. საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებები განიცადა სტუდენტთა შეფასების კომპონენტმა. მოხდა ვადებისა და შეფასების მეთოდების კორექტირება/ჩანაცვლება. უნივერსიტეტი, „ნექსუსის“ პლატფორმით გათვალისწინებული ტესტების მოდულის გარდა, ასევე იყენებს ელ.სისტემას testmoz.com, რომლის მიხედვით შესაძლებელია სტუდენტის იდენტიფიცირება, გამოცდის დაწყებისა და დასრულების დროის განსაზღვრა და ა.შ. აღნიშნულ სისტემასთან ერთად, უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს Cisco Webex - პლატფორმას ონლაინკონფერენციების ჩასატარებლად, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით გამოიყენებს ონლაინლექციების ორგანიზებისთვისაც. განხორციელებულმა აქტივობებმა შესაძლებელი გახადა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვა, რაც აისახა კიდეც გამოკითხულ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის შეფასებებში. აღინიშნა, რომ უნივერსიტეტმა სწრაფად და ეფექტურად გაართვა თავი სპონტანურად წარმოქმნილ ვითარებას. სტუდენტების მიერ აღინიშნა ელექტრონული პორტალების შეფერხებებით მუშაობის შესახებაც. უნივერსიტეტმა

	დაიწყო მუშაობა ელექტრონული სისტემის გასაძლიერებლად. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.1.3	**სტუდენტთა სწავლის შედეგების ანალიზი დიაგნოსტიკური მატრიცების საშუალებით და შედეგების საფუძველზე, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / ივნისი, 2020
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდები: სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. დახურული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი - სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროგრამის ხელმძღვანელები, სულ 24 წევრი, შეჯამდა სამიზნე პოპულაციის მოსაზრებები. შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: დიაგნოსტიკური მატრიცების/შეფასების ფორმები. მომზადებული ანგარიშები, აკადემიური კომიტეტის გადაწყვეტილებები და სხვა. საქართველოში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო გამოკითხვა ჩატარდა ონლაინფორმატით.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით დადგინდა, რომ გრუნიში სწავლის შედეგების ანალიზი ყოველწლიურად ხორციელდება დიაგნოსტიკური მატრიცების/ შეფასების ფორმების მეშვეობით და მიღებული სწავლის შედეგები უნივერსიტეტის აკადემიურ კომიტეტს. ცხრილში მოცემულია სტუდენტთა 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური მოსწრების შედეგები, რომელთა მიხედვით დასტურდება, რომ საანგარიშო პერიოდში, საგანმანათლებლო პროგრამების დაძლევის ხარისხი, შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების მიუხედავად, ზოგადად, დამაკმაყოფილებელია და უნივერსიტეტმა, სწრაფად შეძლო ონლაინსწავლების ფორმატზე სრულად და შეუფერხებლად გადასვლა.

<table>
<tr><td></td><td>ამას ისიც ადასტურებს, რომ წინა წელთან შედარებით, საანგარიშო პერიოდის შეფასების მაჩვენებლები მზარდია უკეთესობისაკენ.

<table>
<tr><th>შეფასება</th><th>2018-2019</th><th>2019-2020</th><th></th></tr>
<tr><td>A</td><td>8%</td><td>11%</td><td></td></tr>
<tr><td>B</td><td>15%</td><td>18%</td><td></td></tr>
<tr><td>C</td><td>22%</td><td>22%</td><td></td></tr>
<tr><td>D</td><td>25%</td><td>24%</td><td></td></tr>
<tr><td>E</td><td>29%</td><td>24%</td><td></td></tr>
<tr><td>F-FX</td><td>1%</td><td>1%</td><td></td></tr>
</table>

სკოლებს დაევალათ, ახალი სასწავლო წლიდან, ვითარების შესაბამისად, ონლაინფორმატით სწავლების ტექნიკური პარამეტრების გამართვის უზრუნველყოფა და შეუფერხებელი სასწავლო გარემოს შექმნა.

სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.</td></tr>
</table>

აქტივობა 1.1.4	**პროგრამის გარე შეფასების სისტემის დანერგვა**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ 6 თვის შედეგებით
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტაციის ანალიზი კოვიდპანდემიის პერიოდში გამოკითხვა ჩატარდა ონლაინ ფორმატითა და დახურული კითხვარით. გამოიკითხნენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, დეკანები (23); შემოწმდა გარე შემფასებლის შერჩევის კრიტერიუმები; გარე შემფასებლის შეფასებები; სტუდენტთა აკადემიური შედეგები.

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	უნივერსიტეტმა დანერგა საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების სისტემა, რაც გამოიხატება აკრედიტაციის მიღების მიზნით შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ ექსპერტული შეფასებით. კერძოდ: • დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი პროგრამა შეაფასა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ირინე კვაჭაძემ და პროფესორმა უილიამ ბრაუნმა, ქირურგთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა; • დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან პროგრამა შეაფასა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მარინა მამალაძემ; გარდა აღნიშნულისა, უნივერსიტეტი პროგრამის გარე შეფასების მექანიზმად იყენებს აკრედიტაციის პროცესს. აკრედიტაციის საბჭოსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთქმული რეკომენდაციების/შენიშვნების საფუძველზე პროგრამის შემმუშავებელმა ჯგუფებმა მოახდინეს შესაბამისი ცვლილებები პროგრამის გასაუმჯობესებლად. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.1.5	**ხარისხის უზრუნველყოფის პლატფორმის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / ივნისი, 2020
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, შემთხვევის ანალიზი. პანდემიის პერიოდში პრობლემების იდენტიფიცირებისა და უკვე გატარებული ღონისძიებების შეფასების მიზნით გამოყენებულ იქნა ონლაინგამოკითხვა და შემთხვევის ანალიზი. გამოიკითხა სამიზნე პოპულაციის 42 წევრი / სტუდენტები, აკადემიური პერსონალი. დაკვირვების მეთოდმა კი გვიჩვენა კონკრეტული საკითხის მიმდინარეობა და შედეგები.

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	ხარისხის უზრუნველყოფის პლატფორმის ფარგლებში, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა - ნექსუსი. მას გააჩნია ხუთი ძირითადი ინტერფეისი: ადმინისტრატორი, ოფისმენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ლექტორი და სტუდენტი. ამ მოდულების განვითარების მიმართულებით მუდმივად ხდება ახალი ფუნქციების დამატება და მართვის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება, რაც პირდაპირაა დაკავშირებული სამუშაო დროის დაზოგვასა და ეფექტურად დაგეგმვასთან. ამ ეტაპზე, „ნექსუსს“ დაემატა მობილური აპლიკაცია და ინგლისურენოვანი ინტერფეისი უცხოელი სტუდენტებისთვის. დამუშავების პროცესშია ფინანსური მოდული და კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემთა მოდული. „ნექსუსი“ საშუალებას აძლევს სტუდენტს შეიმუშაოს ინდივიდუალური პროგრამა საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. სტუდენტს შეუძლია ელექტრონულად მიიღოს ინფორმაცია ლექტორისგან, მოისმინოს ონლაინლექცია, მიიღოს დავალება, ინდივიდუალური კონსულტაცია და გაგზავნოს შესრულებული სამუშაო შესაფასებლად. „ნექსუსის“ მეშვეობით, პროფესორს შესაძლებლობა აქვს, სასწავლო წლის განმავლობაში, განათავსოს თავის გვერდზე სასწავლო მასალა, წარმართოს კონსულტაციები, დისკუსიები სხვადასხვა თემაზე, მოახდინოს თემების ტექსტური და გრაფიკული აღწერა. აგრეთვე, სადისკუსიო თემა გაწეროს ამ სასწავლო კურსზე დარეგისტრირებულ როგორც ყველა, ისე კონკრეტული სტუდენტისთვის ან სტუდენტთა ცალკეული ჯგუფისთვის (შერჩევით). სადისკუსიო თემას აქვს ინტერნეტფორუმის სახე. უნივერსიტეტს, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის შესაფასებლად, ჩამოაყალიბებული აქვს საქმიანობის დაგეგმვა-ანგარიშგებისა და შეფასების ერთიანი სისტემა, რომელიც გულისხმობს სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, როგორც ინსტიტუციისა და ცალკეული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასებას თვითანგარიშისა და ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე.

	მეთოდოლოგია ეფუძნება მრავლკომპონენტიან სისტემას. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საქმიანობა ფასდება ორი კომპონენტით: ა) სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა ბ) პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა უნივერსიტეტი მუშაობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ბაზის შექმნაზე, რომელიც, ამ ეტაპზე, მოიცავს 4 კომპონენტს: • აკადემიური პერსონალის დატვირთვა (ინდივიდუალური) • აკადემიური პერსონალის თვითშეფასება • აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასება • აკადემიური პერსონალის დატვირთვა (შემაჯამებელი) აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი ყოველწლიურად ახორციელებს წარმატებული ლექტორების სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის წარმოჩენა-წახალისებას. ფასდება როგორც აკადემიური, ისე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული აკადემიური პერსონალის მიღწევებს სამეცნიერო მიმართულებით. ქულობრივი შეფასება უკვე დაიწყო, თითოეული სკოლის ფარგლებში, გამოვლინდება წარმატებული პროფესორი და წლის ბოლოს გაიმართება ნომინანტების დაჯილდოების საზეიმო ცერემონია. უნივერსიტეტი, ამჯერად, თანამშრომლობს ერთ-ერთ IT ჯგუფთან ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი ელექტრონული პლატფორმის შესამუშავებლად, თუმცა, ამ პროცესს აფერხებს პანდემიური სიტუაცია. **სამოქმედო გეგმის ამ პუნქტის შესრულება შეიძლება ჩაითვალოს მეტწილად**

აქტივობა 1.1.6	**პროგრამების განხორციელების ხარისხის შესახებ ინფორმაციის მომზადება და წარდგენა აკადემიური კომიტეტის სხდომებზე**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ

კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: დოკუმენტაციის ანალიზი. შემოწმდა აკადემიური კომიტეტის სხდომის ოქმი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	2019 წლის ოქტომბერში ჩატარდა აკადემიური კომიტეტის სხდომა, რომელზეც ხარისხი უზრუნველყოფის სამსახურმა წარადგინა შესაბამისი ანგარიში პროგრამების განხორციელების შესახებ. კომიტეტზე მიღებული გადაწყვეტილებები შესასრულებლად გადაეცა სკოლებს. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.1.7	**ინტეგრირებული და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობის გაზრდა და განხორციელება (სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობები, ბიზნესის ადმინისტრირება, ფსიქოლოგია)**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ. მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: სტრუქტურირებული ინტერვიუ. ონლაინგამოიკითხა საერთაშორისო ინტეგრაციის სამსახურისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, დეკანები (სულ12).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემუშავების მიმართულებით გრუნის მდიდარი გამოცდილება გააჩნია, თუმცა ახალი ერთობლივი პროგრამების შემუშავებ უდავოდ გაამდიდრებდა უნივერსიტეტის მრავალმხრივ საქმიანობას და ხელს შეუწყობდა მისი შემდგომი საერთაშორისო ურთიერთობების განმტკიცებას. აღსანიშანვია, რომ გრუნის ჰქონდა ერთობლივი პროგრამების შემუშავების მცდელობა გერმანელ პარტნიორებთან ერთად, თუმცა კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებით ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო, აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად საჭირო პროცედურები გადაიდო შემდეგი საანგარიშო პერიოდისთვის. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 1.1.8	**შრომის ბაზრის კვლევის ჩატარება, ანალიზი და პროგრამებში კორექტივების შეტანა**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / ივნისი, 2020
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი. ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო კვლევა ონლაინფორმატით ჩატარდა, გამოიკითხა სტუდენტები, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, დეკანები, სულ სამიზნე ჯგუფის 31 წარმომადგენელი. დოკუმენტურად შემოწმდა აკადემიური პროგრამები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულებისა და დოკუმენტების ანალიზის შედეგად, დადგენილია, რომ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის სამსახურმა განახორციელა შრომის ბაზრის კვლევა ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის, ასევე, ფსიქოლოგიის მიმართულებით. კვლევის ანალიზის შედეგები დაედო საფუძვლად: ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის, აგრეთვე, ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამებში კორექტივების შეტანას. აღსანიშნავია, რომ ამ პროგრამებისთვის, კვლევა განხორციელდა ცალ-ცალკე, ახლანდელი აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით. საანგარიშო პერიოდში, შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, განხორციელდა საჯარო მმართველობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო გეგმების განახლება. სტუდენტებისთვის შეთავაზებული იქნა ისეთი სასწავლო დისციპლინები (მაგ.: იუვენოლოგიის პოლიტიკური ანალიზი. საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, საპარლამენტო სამართალი, დასაქმება და მიგრაცია და სხვა), რომელთა შესახებ თეორიული ცოდნის მოთხოვნა შრომის ბაზარზე არსებობს. გარდა ამისა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, მომზადდა საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა, რომელსაც მიენიჭა სრული აკრედიტაცია. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსები ასევე გამომდინარეობს შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან და მიზნად ისახავს კონკურენტუნარიან გარემოში სათანადო უნარების მქონე საჯარო მოხელეების მომზადებას. საანგარიშო პერიოდში ბიზნესისა და მართვის სკოლა განაგრძობს მუშაობას შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო

	ფონდის მიერ 2018 წლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამარჯვებულ საგრანტო პროექტზე - "უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის კვლევა საქართველოში" (FR-18-6156), დასრულდა პროექტის პირველი ეტაპი. უნივერსიტეტის ადამიანის უფლებების კვლევითი ინსტიტუტი ასრულებს მუშაობას პროექტზე: „დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში". **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად**
აქტივობა 1.1.9	**ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება/ ინტეგრირება**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / ივნისი, 2020
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი ონლაინგამოიკითხა სტომატოლოგიის მიმართულების სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მედიცინის სკოლის დეკანი. დოკუმენტურად შემოწმდა მედიცინის პროგრამა, გაფორმებული მემორანდუმები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევის შედეგები ასეთია: საანგარიშო პერიოდში შეიცვალა პრაქტიკის კომპონენტის გაფართოებისა და განხორციელების სტრატეგია, კერძოდ: რეაკრედიტებული დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა კონცეპტუალურად განსხვავდება წინა პროგრამისგან. კურიკულუმი არის ინტეგრირებული, რაც შეესაბამება სამედიცინო განათლების თანამედროვე სტანდარტს. ბევრ სიახლესთან ერთად, აღსანიშნავია პრაქტიკული/კლინიკური კომპონენტის გაზრდა როგორც სპეციალურ, ისე ზოგადი სამედიცინო კურსების ფარგლებში. კურიკულუმის დიზაინი იმგვარადაა კონსტრუირებული, რომ სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე (კლინიკური როტაციის ციკლი-X სემესტრი), სტუდენტს საბოლოოდ ჩამოუყალიბდეს პრაქტიკოსი სტომატოლოგისათვის აუცილებელი სამი უნარი - კლინიკური აზროვნების, პრაქტიკული მანუალური და სამეცნიერო კვლევისთვის აუცილებელი უნარები.

	კლინიკური ინტეგრაციის კურსის ფარგლებში, სტუდენტები ჩართული არიან კლინიკურ საქმიანობაში საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ და აფილირებულ კლინიკებში მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ და ასრულებენ სხვადახვა სტომატოლოგიურ მანიპულაციას, მათ შორის, დამხმარე სამედიცინო პერსონალის ფუნქციას (ექიმის ასისტირება). შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნების კურსი „კლინიკური აზროვნების უნარები- CBCR II, კი, ემსახურება კლინიკური გადაწყვეტილების მიღების, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, კვლევის შედეგების ინტერპრეტაციისა და დიაგნოზის დასმის უნარების განვითარებას. სწავლების ამავე ეტაპზე სტუდენტები ჩართულები არიან სამეცნიერო კვლევაში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. დამამთავრებელი X სემესტრის ბოლოს სტუდენტის დარგობრივი კომპეტენციები, კერძოდ, კლინიკური უნარები სტომატოლოგიის ყველა დარგში მოწმდება ინტეგრირებული ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდით (OSCE). მედიცინის სკოლის სტუდენტების კლინიკური პრაქტიკის დახვეწის მიზნით, გაფორმდა მემორანდუმები შემდეგ კლინიკებთან: 1. კლინიკური პათოლოგიის ცენტრი; 2. ნეოგენი; 3. რევმატოლოგიის ცენტრი; 4. ბოკერიას სახელობის რეფერალური ჰოსპიტალი; 5. ნ.ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა; 6. შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი; 7. ახალი სამშობიარო ცენტრი; 8. თბილისის ბავშვთა ინფექციური საავადმყოფო; 9. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი; 10. კანისა და ვენსნეულებათა ეროვნული ცენტრი; 11. კარდიოლოგიური კლინიკა,,გული''. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისათვის შეიქმნა ულტრათანამედროვე მულაჟებით აღჭურვილი სიმულაციური ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების კლინიკური უნარების ზედმიწევნით სრულყოფილად გამომუშავებას.

	ყველა საგანამანათლებლო პროგრამის სტუდენტების პრაქტიკული ცოდნისა და უნარ- ჩვევების გასაძლიერებლად უნივერსიტეტში სისტემატურად ტარდება კურიკულუმსგარეთა მნიშვნელოვანი აქტივობები: მასტერკლასები, მოწვეული პრაქტიკოსის ლექციები, შეხვედრები დარგის სპეციალისტებთან, სასწავლო - პრაქტიკული ტურები, ვიზიტები საჯარო უწყებებში და სხვა. ამავე დროს ინერგება ე.წ. პრეკლინიკა, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამებში ე.წ. ჩაშენებული პრატიკის კომპონენტების არსებობას. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**
აქტივობა 1.1.10	**კარიერისთვის მომზადების სასწავლო კურსის შემუშავება საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრირება სასწავლო დისციპლინის სახით.**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: სტრუქტურირებული ინტერვიუ, დახურული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პასუხისმგებელი პირი, დეკანები, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები (18).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, უნივერსიტეტი განუხრელად სთავაზობს სტუდენტებს სხვადასხვა სასწავლო დისციპლინას, რომელიც დაეხმარება მათ პროფესიულ ზრდასა და კარიერულ წინსვლაში. სამართლისა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საგანმანათლებლო პროგრამების შემდეგ, მედიცინისა და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებში დაინერგა კლინიკური ინტეგრაციის კურსი, სადაც სტუდენტები ჩართული არიან კლინიკურ საქმიანობაში საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ და აფილირებულ კლინიკებში მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ და ასრულებენ სხვადახვა სტომატოლოგიურ მანიპულაციებს, მათ შორის, დამხმარე სამედიცინო

	პერსონალის ფუნქციას (ექიმის ასისტირება). შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნების კურსი „კლინიკური აზროვნების უნარები- CBCR II, კი, ემსახურება კლინიკური გადაწყვეტილების მიღების, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, კვლევის შედეგების ინტერპრეტაციისა და დიაგნოზის დასმის უნარების განვითარებას. ამასთან, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა დაიწყო კარიერისა და დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების პროექტის მეორე ეტაპი, რომელსაც გამოცდილი სპეციალისტი, საერთაშორისო ექსპერტი მაკა კუკავა ხელმძღვანელობს. პროექტი სამთვიანია და მეცადინეობები დაეთმო იმ პრაქტიკული უნარებისა და მახასიათებლების გამომუშავებას, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც სტუდენტის დასაქმების, ისე მისი შემდგომი კარიერული ზრდისა და პროფესიული განვითარებისათვის. სასწავლო კურსი მოიცავს პრაქტიკული ტრენინგების ციკლს, რომელიც სტრუქტურიზებულს გახდის სტუდენტის ქცევასა და დამოკიდებულებას დამსაქმებლებთან კომუნიკაციის პროცესში, საკუთარი თავის წარმოჩენას, პრეზენტაბელურობას. პროექტის ფარგლებში სტუდენტებმა შეისწავლეს: 1.ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება, პერსონალის როლი და ფუნქციები ორგანიზაციაში, ძირითადი სამუშაო აღწერილობები და სამუშაოს ეფექტიანობისთვის საჭირო კომეტენციების განსაზღვრა; 2.დასაქმების მოძიების გზები და საშუალებები, კერძო და საჯარო სამსახურის სპეციფიკა შერჩევის პროცედურებთან დაკავშირებით. საკუთარი შესაძლებლობების, უნარების, პიროვნული თვისებების და ინტერესების იდენტიფიცირება (პროფესიული ორიენტაცია, პიროვნული მახასიათებლები, მოტივაციური ფაქტორები, საჭირო უნარების განვითარების ღონისძიებები) პიროვნული და პროფესიული SWOT; 3.რეზიუმეს შედგენა კონკრეტული პოზიციის მოთხოვნების გათვალისწინებითა და დამსაქმებელთან კომუნიკაციის პირველი ეტაპი, ინტერვიუს მიმდინარეობა, მისი დინამიკა და ტექნიკები (დემოგრაფიული ინტერვიუ, ჩაღრმავებული ინტერვიუ, ქეისინტერვიუ, პროფესიული ინტერვიუ evidens based interiew, პროექციული ინტერვიუ); 4. კომუნიკაციის ბარიერები და მათი დაძლევის სტრატეგიები,

	დასაქმებულის უფლებები, შრომის კოდექსის ნორმები და შრომის კოდექსში დაგეგმილი ცვლილებები 2020 წლისათვის. ადაპტაცია სამუშაოსთან და ორგანიზაციულ კულტურასთან. პროექტის დასასრულს გაიმართა დამსაქმებლებთან შეხვედრა და პანელური დისკუსია: „რა სურს დამსაქმებელს?“ https://gruni.edu.ge/main/news/1578641965. ამავდროულად, გრძელდება შესაბამისი სასწავლო კურსის შემუშავება. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად**
აქტივობა 1.2.1	**უნივერსიტეტის ვებგვერდის მოდიფიცირება და online და smart ორიენტირებული ბლოგური სისტემის შექმნა**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	შემთხვევის ანალიზი მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: შემთხვევის ანალიზი, რომლის გამოყენება ნათელს ჰფენს კონკრეტულ გადაწყვეტილებას როგორ დაინერგა და რა შედეგები იქნა მიღებული.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	2019 წლის 18 ნოემბერს უნივერსიტეტის ბაზაზე დაიწყო ახალი სამეცნიერო პროექტი - „აკადემიური ბლოგი“, რომელიც არის მედიასაკომუნიკაციო საშუალება, რომელიც სტუდენტებსა და პროფესორებს აძლევს საშუალებას მოახდინონ თავიანთი ცოდნისა და იდეების კომუნიკაცია ფართო აუდიტორიასთან და საზოგადოებაზე იქონიონ პოზიტიური გავლენა. „აკადემიური ბლოგმა“ დაიწყო ნამუშევრების - ბლოგების, ვლოგების და ვებინარების, მიღება, რომელიც ხელს შეუწყობს მეცნიერების განვითარებასა და ცოდნის დონის გაუმჯობესებას. https://gruni.edu.ge/main/news/1574169537 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.3.1	**არსებულ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავება და ახალ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარება**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / ივნისი, 2020
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი. პარტნიორ საგანამანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაღრმავებისა და ახალი პარტნიორული ურთიერთობის დამყარების თაობაზე მონიტორინგი და შეფასება ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო განხორციელდა ონლაინფორმატით. გამოიკითხნენ სტუდენტები (23) და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი (15).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	**კვლევის შედეგები (მოკლე აღწერა):** გამოკითხულთა უმრავლესობა (85%) მიიჩნევს, რომ პანდემიამდე ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა იყო ნაყოფიერი და შესაძლებლობას აძლევდა სამიზნე ჯგუფებს აქტიურად ჩართულიყვნენ გაცვლით პროექტებში, წაეკითხათ ლექციები ან ერთობლივად განეხორციელებინათ კვლევითი პროექტები, კონფერენციები და ვორქშოფები. პანდემიამ მნიშვნელოვანწილად შეზღუდა ამგვარი თანამშრომლობა, თუმცა უნივერსიტეტმა შეძლო სწრაფად მოეხდინა ახალ რეალობასთან ადაპტირება და შეუფერხებლად განეგრძო საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობა, მოეძებნა ახალი პარტნიორები საერთაშორისო ბაზარზე. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტი წარმატებით თანამშრომლობდა **ამერიკის** (ილინოისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კრიმინოლოგიის საზოგადოება, საერთაშორისო განვითარების სააგენტო), **პორტუგალიის** (პორტოს უნივერსიტეტი); **ლიტვის** (მიკოლას რომერის უნივერსიტეტი); **პოლონეთის** (იან კოხონოვსკის უნივერსიტეტი), **ისრაელის, ავსტრალიის უნივერსიტეტებთან, ასევე, ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტთან, საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტგამოცემასთან - Media4u Magazine, კულტურული ტურიზმის ევროპულ ქსელთან - ECTN Network.** დოკუმენტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საანგარიშო პერიოდში გაფორმდა ხელშეკრულებები/მემორანდუმები ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან:

	• ქართულ-ამერიკული ორთოდონტული ცენტრი „ბრეისჰაუსი“, https://gruni.edu.ge/main/news/1604986707; • ქართულ-ევროპული განათლების აკადემია, https://gruni.edu.ge/main/news/1582094987; • ამერიკის უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი „პროგრესი“, https://gruni.edu.ge/main/news/1581440366 • ვებსტერის უნივერსიტეტი, • https://gruni.edu.ge/main/news/1572592964 • „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო“, https://gruni.edu.ge/main/news/1594907853; • საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, https://gruni.edu.ge/main/news/1596779998; გრძელდება მუშაობა ახალი პარტნიორების მოსაძებნად. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.3.2	**საერთაშორისო საზაფხულო სკოლების ორგანიზება უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობით**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / ივნისი, 2020
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	პანდემიის გამო საქართველოში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარებისა და დაწესებული რეგულაციების გამო 2019-2020 სასწავლო წელს საზაფხულო სკოლა აღარ გაიმართა. **სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა**

აქტივობა 1.3.3	**საერთაშორისო პროგრამებისა და უნივერსიტეტის ურთიერთობის ფარგლებში სტუდენტთა მობილობის გაფართოება**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / ივნისი, 2020
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი, უნივერსიტეტის მონიტორინგის ჯგუფმა აღნიშნული საკითხის შესასწავლად გამოიყენა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები: გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი, გამოიკითხა სამიზნე ჯგუფის წევრები / მობილობის პროცესში მონაწილე სტუდენტები (20 სტუდენტი), დოკუმენტების ანალიზის მეთოდის გამოყენებით შესწავლილ იქნა მობილობაში მონაწილე სტუდენტების შერჩევისა და პროგრამაში ჩართვის დოკუმენტურად დადასტურებული პროცესი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტი თავისი საგანმანათლებლო საქმიანობის დღის წესრიგში მუდმივად განიხილავს საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურების აუცილებლობას. დღეისათვის ის საფრანგეთის, გერმანიის, პოლონეთის, იტალიის, პორტოსა და სხვა არაერთი წამყვანი უნივერსიტეტის პარტნიორია და ეს თანამშრომლობა გრძელდება, რაც სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობას აძლევს გაეცნოს განათლების საერთაშორისო სტანდარტებსა და სწავლებისა და კვლევის კარგი გამოცდილება მიიღონ. ამ პროცესს სერიოზულად შეუშალა ხელი პანდემიამ. არც გრუნის სტუდენტები და არც პარტნიორები არ აქტიურობენ საერთაშორისო მობილობის პროცესის განხორციელებისათვის, მაგრამ საანგარიშო

	პერიოდში, 9 სტუდენტი მაინც ჩაერთო მობილობის პროცესში: ბიზნესსკოლის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები **დავით შალამბერიძე** და **გიორგი ნიორაძე** საფრანგეთში გაემგზავრნენ, ისინი ერთ წელს კლერმონ-ფერანის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისწავლიან. https://gruni.edu.ge/main/news/1568878958 სამართლის სკოლის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სამი სტუდენტი: **გიორგი თავხელიძე, თამარ მეფარიშვილი** და **მიხეილ ჭვინაშვილი** ერთი სემესტრის განმავლობაში პროფესიას ნანტის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაეუფლებიან. https://gruni.edu.ge/main/news/1568878958 საჯარო მმართველობის და პოლიტიკის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტმა **სალომე ზაბახიძემ** Sciences Po Rennes-ის (სიანს პო რენის) უნივერსიტეტში წარმატებით გაიარა ერთსემესტრიანი პროგრამა და მეორე ვადით იქნა შერჩეული. https://gruni.edu.ge/main/news/1568878958 საფრანგეთის Sciences Po Rennes-ის უნივერსიტეტში (სიანს პო რენში) ერთსემესტრიანი სასწავლო სტიპენდია მოიპოვა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის წარჩინებულმა სტუდენტმა **მარიამ ზარქუამ.** სტიპენდიანტმა აღნიშნულ სასწავლებელში წარადგინა პროექტი „ლტოლვილთა პრობლემები საქართველოსა და საფრანგეთში“, რომელმაც საკონკურსო კომისიის მოწონება დაიმსახურა. https://gruni.edu.ge/main/news/1567659134 2019-2020 სასწავლო წელს ბიზნესისა და მართვის სკოლის მე-4 კურსის სტუდენტი - **ნიკა კოდიაშვილმა** საფრანგეთის კლერმონ-ფერანის (Clermont-Ferrant) სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესადმინისტრირების უფასო ინგლისურენოვან ერთწლიან პროგრამაზე ჩაირიცხა. პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ის მიიღებს საფრანგეთის რესპუბლიკის ბაკალავრიატის სრული კურსის დიპლომს, რომლის დახმარებითაც შეძლებს ჩაირიცხოს მსოფლიოს ნებისმიერი უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე. https://gruni.edu.ge/main/news/1596478961 გერმანიის კურტ ლოვენშტეინის საგანმანათლებლო დაწესებულების საბჭომ უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის სტუდენტს **ანა მანველიშვილს** საერთაშორისო ტრენერის სტატუსი მიანიჭა. ახლა ის უკვე თვითონ უხელმძღვანელებს სხვადასხვა სასწავლო პროგრამას.კურტ ლოვენშტეინის საგანმანათლებლო დაწესებულების ზამთრის სკოლაში მან უკვე ჩაატარა პირველი სემინარი თემაზე „მემარჯვენე პოპულიზმი" და სტუდენტებთან ერთად განიხილა სოციალური მედიის როლი, პროპაგანდა და სიძულვილის ენა

	თანამედროვე ეპოქაში. https://gruni.edu.ge/main/news/1579246921 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.3.4	**საბაკალავრო პროგრამებში უცხოენოვანი სასწავლო კომპონენტების ინტეგრირება და უცხო ენის სწავლების გაძლიერება ბრიტანეთის საკონსულოსთან, ფრანგულ ინსტიტუტსა და გოეთეს ინსტიტუტთან თანამშრომლობით**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / ივნისი, 2020
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. გამოიკითხა უცხოენოვან კომპონენტზე დარეგისტრირებული სტუდენტები (15), დოკუმენტების ანალიზის მეთოდის გამოყენებით შესწავლილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამები, სამიზნე ჯგუფის წევრების საგამოცდო შედეგები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	უცხო ენის სწავლების გაძლიერება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, შესაბამისად, გრუნი თავის საგანმანათლებლო საქმიანობაში მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, პროგრამებში უცხოენოვანი სასწავლო კომპონენტის ინტეგრირებასა და ამ მიმართულებით სხვადასხვა პროგრამისა და პროექტის განხორციელებას, კერძოდ: აკრედიტაცია მიიღო და ფუნქციონირება დაიწყო მედიცინის ინგლისურენოვანმა ერთსაფეხურიანმა პროგრამამ; საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამაში ინტეგრირებულ იქნა სასწავლო კურსი ინგლისურ ენაზე - საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი. სამართლის სამაგისტრო პროგრამა მაქსიმალურად დატვირთულია

	ინტერნაციონალური ელემენტებით. მის განხორციელებაში ჩართულნი არიან, როგორც ქართველი, ისე უცხოელი პროფესორ-მასწავლებლები/სპეციალისტები. ამასთან, გათვალისწინებულია უცხოენოვანი ბლოკი, სადაც მაპროფილებელი ტიპის დისციპლინები ისწავლება ინგლისურ და გერმანულ ენებზე. მიმდინარეობს სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში ამ კომპონენტების შემუშავება და დანერგვა. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ გაცვლითი პროგრამებით გერმანის წამყვან უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.3.5	**საერთაშორისო სტუდენტურ შეკრებებსა და სხვა ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველყოფა**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / ივლისი, 2020
კვლევის მეთოდი	ინტერვიუ და დოკუმენტების ანალიზი. სტრუქტურირებული ინტერვიუს/გამოკითხვის, კერძოდ, სპეციალური დახურული კითხვარის მეშვეობით, რაოდენობრივი მონაცემებით, შემოწმდა და შეჯამდა სამიზნე პოპულაციის მოსაზრებები/დამოკიდებულებები. გამოიკითხა სამიზნე ჯგუფის 34 წევრი. დოკუმენტების ანალიზით შემოწმდა საერთაშორისო სტუდენტურ შეკრებებსა და სხვა ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: ხელშეკრულებები, სერტიფიკატები, შერჩევის კრიტერიუმები, გასაუბრების ოქმები, ოფიციალური ვებგვერდი და სხვა დოკუმენტაცია .
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა ჩაატარა სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმი, ნაწილობრივ ონლაინფორმატით. გრუნის სტუდენტები მონაწილეობდნენ საერთაშორისო სემინარებსა და პროექტებში. საანგარიშო პერიოდში გაიმართა 8 სხვადასხვა ღონისძიება, რომელშიც,

	საერთო ჯამში, 250-მდე სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი მონაწილეობდა, თმცა პანდემიამ რამდენადმე შეაფერხა ამ პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების მასშტაბურად განხორციელება. **კონკრეტული ღონისძიებები:** **2019 წლის 17 ოქტომბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს ისრაელის ოფიციალური დელეგაცია ეწვია საპარლამენტო პარტია „ავოდას“ თავმჯდომარის ამირ ფერეცის ხელძღვანელობით. ახალი სასწავლო წლიდან უნივერსიტეტში ჰოლოკოსტის ისტორია ისწავლება, რომელსაც ისტორიის დოქტორი ნონა ჭანტურია ხელმძღვანელობს, სწორედ ამ სასწავლო კურსის ფარგლებში სტუმრებმა სტუდენტებისათვის საჯარო ლექცია წაიკითხეს. დელეგაციის ხელმძღვანელმა და ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა ამირ ფერეცმა სტუდენტებთან ისაუბრა ისრაელის სახელმწიფოს შექმნაზე, ჰოლოკოსტის ისტორიაზე, მისი მოღვაწეობის პერიოდში განხორციელებულ რეფორმებსა და ისრაელ-პალესტინის ურთიერთობებზე. https://gruni.edu.ge/main/news/1571643420 საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის სტუდენტი ანა მანველიშვილი წლებია თანამშრომლობს გერმანიის კურტ ლოვენშტეინის საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. **2020 წელს იანვარში** საბჭომ ანას საერთაშორისო ტრენერის სტატუსი მიანიჭა. კურტ ლოვენშტეინის საგანმანათლებლო დაწესებულების ზამთრის სკოლაში მან უკვე ჩაატარა პირველი სემინარი თემაზე „მემარჯვენე პოპულიზმი" და სტუდენტებთან ერთად განიხილა სოციალური მედიის როლი, პროპაგანდა და სიძულვილის ენა თანამედროვე ეპოქაში. https://gruni.edu.ge/main/news/1579246921 **2019 წლის 4-5 სექტემბერს,** მეცხრე მულტიდისციპლინურ ფორუმს გრუნის ბათუმის წარმომადგენლობა მასპინძლობდა. ფორუმში სხვადასხვა მიმართულების 7 დოქტორანტი მონაწილეობდა. ფორუმს ესწრებოდნენ გრუნის რექტორი, პროფესორი მამუკა თავხელიძე, ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი ჯოვანი შოპოვსკი და მაკედონიის უნივერსიტეტის პროფესორი დეჟან მაროლოვი. ფორუმის ფარგლებში რამდენიმე სექცია მუშაობდა: პოლიტიკა, ეკონომიკა, სამართალი, განათლება, ჯანდაცვა. ბოლო სექცია კი დაეთმო სხვადასხვა თემას, რომელმაც დამსწრეთა მაღალი ინტერესი გამოიწვია. https://gruni.edu.ge/main/news/1568115972 **2020 წლის 26 ივნისს** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და *ამერიკის კრიმინოლოგიის*

	საზოგადოების მონაწილეობით გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ვიქტიმოლოგიის აქტუალური საკითხები", რომელშიც პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად ახალგაზრდა მკვლევრები, დოქტორანტებიც მონაწილეობდნენ. https://gruni.edu.ge/main/news/1593834694 **2020 წლის 16 მაისს,** საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, გაიმართა ვებინარი თემაზე „კოვიდთან დაკავშირებული კრიზისი ტურიზმში და მასთან გამკლავების გზები". ვებინარში საქართველოს 14 უნივერსიტეტის, მათ შორის, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი მონაწილეობდა. აგრეთვე, პროფესორი გივი ყუფარაძე და ტურიზმის პროგრამის IV დონის სტუდენტი ხატია შალვაშვილი. https://gruni.edu.ge/main/news/1590208795 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.3.6	**უცხოელ პროფესორთა მოწვევა და ელექტრონული პლატფორმის გამოყენება სალექციო კურსების ჩასატარებლად**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: სტრუქტურირებული ინტერვიუ, დახურული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი/ სტუდენტები, აკადემიური პერსონალი (28).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, უნივერსიტეტი ყოველწლიურად აფართოებს თანამშრომლობას უცხოელ პარტნიორებთან, რაც სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობას აძლევს ეზიარონ საერთაშორისო საგანმანათლებლო პრაქტიკასა და გამოცდილებას, გაეცნონ თანამედროვე ტექნოლოგიების სიახლეებს. ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საინტერესო შეხვედრები უცხოელი პროფესორების მონაწილეობით, 2020 წელს ქვეყანაში შექმნილმა ეპიდემიოლოგიურმა ვითარებამ რამდენადმე შეაფერხა უცხოეთის წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან

	თანამშრომლობა, მაგრამ პროცესი გაგრძელდა ონლაინფორმატით. **კონკრეტული ღონისძიებები:** 2019 წლის 4 დეკემბერს ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით, უნივერსიტეტში გაიმართა ილინოისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუნიკაციების სკოლის გაერთიანებული მედიაპლატფორმების დირექტორის ნათან კარპენტერის საჯარო ლექცია, რომელიც სოციალური მედიისა და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების სიახლეების განხილვას დაეთმო. https://www.gruni.edu.ge/main/news/1575868432 2019 წლის აგვისტოში გრუნის საზაფხულო სკოლის ფარგლებში სტუმრობდნენ უცხოელი მეცნიერები: ვურცბურგის იულიუს-მაქსიმილიანის უნივერსიტეტის პროფესორი ეკჰარდ პახე, პიტერ პაჩოლაი - ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მოსამართლე და ვენეციის კომისიის საპატიო პრეზიდენტი; რიჩარდ ვოგლერი - სასექსის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) პროფესორი; ნორა ნი ლოიდეანი - ლონდონის უნივერსიტეტის სამართლის გაძლიერებული სწავლების ინსტიტუტის (IALS) საინფორმაციო სამართლისა და პოლიტიკური ცენტრის დირექტორი, https://gruni.edu.ge/main/news/1565167426 https://gruni.edu.ge/main/news/1564900020 საანგარიშო პერიოდში უცხოელი მეცნიერი, კერძოდ, ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი, ნებრასკას უნივერსიტეტის *პროფესორი კრის ესკრიჯი,* ერთხელ, 2020 წლის ივლისში, ონლაინ ჩაერთო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „ვიქტიმოლოგიის აქტუალური საკითხები“, მუშაობაში. https://gruni.edu.ge/main/news/1593834694 2020 წლის 20 ნოემბერს ჰოლოკოსტის ისტორიის კურსის სტუდენტებისთვის, ონლაინ ლექცია ჩაატარა ქალბატონმა **ავიტალ ზალმანოვიჩმა.** მისი მამა აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკის ტყვე იყო, მაგრამ მოახერხა გადარჩენა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ის აქტიურად მონაწილეობდა ისრაელის ახლად დაარსებული სახელმწიფოს მშენებლობაში. ლექტორმა ფართოდ მიმოიხილა ჰოლოკოსტის ისტორია, აუდიტორიას გააცნო საკუთარი მამის ტყვეობაში გატარებული და იქიდან თავის დაღწევის მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც, არსებითად, არ არის მხოლოდ ერთი კაცის ისტორია. მან საფუძვლიანად ახსნა მეორე მსოფლიო ომის პოლიტიკური თუ ნაცისტური მოტივები და

	სხვ. https://www.gruni.edu.ge/main/news/1605885734 ინგლისურენოვანი მედიცინის პროგრამის პირველი აკადემიური წლის სტუდენტებმა ონლაინფორმატით მოისმინეს **პროფესორ უილიამ ბრაუნის** ლექცია თანამედროვე სამედიცინო განათლების საკითხებზე. პროფესორი შეეხო თანამედროვე კარიერული განვითარების პრობლემატიკას, სტუდენტთა ექიმად ჩამოყალიბების პროცესს, ამ პროფესიისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებისა და მოტივაციის აუცილებლობას. https://www.gruni.edu.ge/main/news/1605869206 **2019 წლის 17 ოქტომბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს ისრაელის ოფიციალური დელეგაცია ეწვია საპარლამენტო პარტია „ავოდას“ თავმჯდომარის ამირ ფერეცის ხელმძღვანელობით. ახალი სასწავლო წლიდან უნივერსიტეტში ჰოლოკოსტის ისტორია ისწავლება, რომელსაც ისტორიის დოქტორი ნონა ჭანტურია ხელმძღვანელობს, სწორედ ამ სასწავლო კურსის ფარგლებში სტუმრებმა სტუდენტებისათვის საჯარო ლექცია წაიკითხეს. https://gruni.edu.ge/main/news/1571643420 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტის შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.3.7	**სასწავლო ტურების ორგანიზება ევროპის ქვეყნებში;**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / ივლისი, 2020
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	ქვეყანაში განვითარებულმა ეპიდემიოლოგიურმა ვითარებამ აღნიშნული საკითხის განხორციელება რამდენადმე შეაფერხა. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა**

აქტივობა 1.4.1	**დამსაქმებლებთან შეხვედრების, მასტერკლასების, საჯარო**

	ლექციების, დასაქმების ფორუმების ორგანიზება
მონიტორინგის პერიოდი	2018-2019 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტაციის ანალიზი. გრუნის მონიტორინგის სამსახურმა შეაფასა საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ დამსაქმებლებთან გაწეული საქმიანობა და ამისათვის გამოიყენა კველევის ორი მეთოდი: გამოკითხვა და დოკუმენტების ანალიზი. რაოდენობრივი კვლევის მეთოდით, დახურული კითხვებით შესწავლილ იქნა სამიზნე ჯგუფის/სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მოსაზრებები ამ მიმართულებით გაწეული საქმიანობის თაობაზე. კერძოდ, გამოიკითხა 59 სტუდენტი და კურსდამთავრებული. დოკუმენტების ანალიზით კი შეფასდა დამსაქმებლებთან თანამშრომლობა გაფორმებული მემორანდუმებისა და სტაჟირების, დასაქმების დამადასტურებელი დოკუმენტების, ასევე, გაცემული სტიპენდიებისა და სხვა მონაცემების შესწავლით.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა მიერ აღინიშნა, რომ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დასაქმების ხელშეწყობა და ამ მიზნით პრაქტიკოსებთან, დარგის სპეციალისტებთან სტუდენტების სისტემატური შეხვედრების, მასტერკლასებისა და საჯარო ლექციების გამართვა, რომლებიც ახალგაზრდების კარიერულ და პროფესიულ განვითარებას უწყობს ხელს. საანგარიშო პერიოდში, უნივერსიტეტმა სტუდენტებს შესთავაზა საშემოდგომო და საგაზაფხულო სტაჟირების სახელმწიფო პროგრამები, რომლებშიც თბილისისა და ბათუმის წარმომადგენლობის 42 სტუდენტი მონაწილეობდა. გრუნის სტუდენტები ჩაერთვნენ განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ კარიერულ ფორუმში. დასაქმების თაობაზე გაიმართა ინდივიდუალური შეხვედრები ნოტარიუსთა პალატის, „სს სადაზღვევო კომანია **"იმედი L"** -ის, GHS Consulting გუნდისა და სს „სილქნეტის" წარმომადგენლებთან. სტუდენტებისთვის გაიმართა დავით კენჭაძის მასტერკლასი „დიახ, შენ ეს შეგიძლია!". ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც საანგარიშო პერიოდში განხორციელდა არის ***ნოე სულაბერიძის საპროდიუსერო სახელოსნო.*** გასაუბრების წესით შეირჩა ოცი მსმენელი. ისინი სამი თვის განმავლობაში ეუფლებოდნენ პროდიუსინგისა და სატელევიზიო წარმოების, მარკეტინგის,

	კომუნიკაციისა და გაყიდვების, ციფრული მედიის ფუნქციონირების თანამედროვე მეთოდებს. https://gruni.edu.ge/main/news/1575019892 https://gruni.edu.ge/main/news/1567520829 https://gruni.edu.ge/main/news/1573655184 https://gruni.edu.ge/main/news/1577165438 https://gruni.edu.ge/main/news/1576003045 https://gruni.edu.ge/main/news/1575521187 https://gruni.edu.ge/main/news/1575020864 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა დაიწყო კარიერისა და დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების პროექტის მეორე ეტაპი. პროექტს ხელმძღვანელობდა ამ მიმართულების გამოცდილი სპეციალისტი, ექსპერტი, არაერთი საერთაშორისო პროექტის ხელმძღვანელი - მაკა კუკავა. სამთვიანი პროექტი დაეთმო იმ პრაქტიკული უნარებისა და მახასიათებლების გამომუშავებას, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც სტუდენტის დასაქმების, ისე მისი შემდგომი კარიერული ზრდისა და პროფესიული განვითარებისათვის. სასწავლო კურსი მოიცავს პრაქტიკული ტრენინგების ციკლს, რომელიც სტრუქტურიზებულს გახდის სტუდენტის ქცევასა და დამოკიდებულებას დამსაქმებლებთან კომუნიკაციის პროცესში, საკუთარი თავის წარმოჩენას, პრეზენტაბელურობას. პროექტის წლევანდელი მონაწილეებიდან კომპანია „Nexia International" -ის საქართველოს წარმომადგენლობამ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სტუდენტი **გიორგი ნოზაძე** შეარჩია და ის ერთი წლის განმავლობაში სტაჟირებას გაივლის ამ კომპანიაში. პროექტის შარშანდელი მონაწილეებიდან კი ორი სტუდენტი - **მირანდა ჩარკვიანი და ლაშა ანთაძე,** სტაჟირების შემდეგ წელს უკვე აღნიშნული კომპანიის თანამშრომლები გახდნენ: ლაშა ანთაძე ფინანსური აუდიტის დეპარტამენტის აუდიტის ასისტენტია, ხოლო მირანდა ჩარკვიანი კომპანიის კლიენტებთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომელი. https://gruni.edu.ge/main/news/1591080155 ttps://gruni.edu.ge/main/news/1578641965 საანგარიშო პერიოდში გრუნიმ თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა ამერიკის უმაღლეს საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ „პროგრესთან" და ქართულ-ევროპულ განათლების აკადემიასთან, თავდაცვის სამინისტროსთან, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან,

	მედიატორთა ასოციაციასთან. თანამშრომლობა მიზნად ისახავს მოსწავლეებისა და სტუდენტთა ცოდნის განმტკიცების, პროფესიული ორიენტაციისა და პიროვნული/კარიერული განვითარების ხელშეწყობასა და ერთობლივი პროგრამებისა და პროექტების, კვლევებისა და სხვა საგანამანათლებლო აქტივობების განხორციელებას. ასევე, ფსიქოლოგიისა და მედიცინის პროგრამების სტუდენტთა სტაჟირებას სააგენტოს ფილიალებში (სპეციალიზებული დაწესებულებები) და სტრუქტურულ ერთეულებში (თავშესაფრები, კრიზისული ცენტრები). პრაქტიკოს მედიატორებთან თანამშრომლობა და მედიაციასთან დაკავშირებით მიმდინარე და უახლესი ინფორმაციის გაცნობა კი პროფესიულად გაზრდის სამართლის მიმართულების სტუდენტებს. https://gruni.edu.ge/main/news/1596779998 https://gruni.edu.ge/main/news/1594907853 https://gruni.edu.ge/main/news/1592275505 https://gruni.edu.ge/main/news/1581440366 https://gruni.edu.ge/main/news/1582094987 პარტნიორი კომპანიების გარდა, სტუდენტები სტაჟირებას უნივერსიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ სტრუქტურაშიც (სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის სამსახური, ადამიანური რესურსების სამსახური, სტუდენტური სერვისების სამსახური) ოფიციალურად გადიან და სპეციალობის შესაბამისად, იძენენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს. უნივერსიტეტს თავისი კურსდამთავრებულების დასაქმების კარგი პრაქტიკაც გააჩნია. ამასთან ერთად, უნივერსიტეტი ყოველდღიურად არაერთ შეთავაზებას იღებს დასაქმების ბაზარზე არსებული ვაკანსიების შესახებ. საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა აღნიშნულის თაობაზე სტუდენტთა მყისიერად ინფორმირება, ამ მიზნით უნივერსიტეტი იყენებს როგორც სტუდენტების პირად შეხვედრებს დამსაქმებლებთან, ისე სოციალურ ქსელებსა და ოფიციალურ ვებგვერდს, ასევე, დეკანატებსა და SMS შეტყობინებების პრაქტიკას. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტის შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.4.2	**დასაქმების კლასტერების შექმნა, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური**

	პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გაერთიანებას დასაქმების სფეროს ნიშნით.
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / ივლისი, 2020
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო აღნიშნული საკითხი ვერ განხორციელდა **სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ეს პუნქტი არ შესრულდა**

აქტივობა 1.4.3	**კურსდამთავრებულთა პლატფორმის შექმნა**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / ივლისი, 2020
კვლევის მეთოდი	შემთხვევის ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	აღნიშნული პლატფორმის შექმნა იგეგმება იმ ჯგუფთან ერთად, რომელიც ამუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის პლატფორმას. **სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული არ შესრულდა.**

აქტივობა 1.4.4.	**კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა, ბაზრის მოთხოვნებთან შეუსაბამო კომპეტენციების იდენტიფიცირება და შესაბამისი კორექტირების უზრუნველყოფა**

მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / ივნისი, 2020
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი. ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო კვლევა ონლაინფორმატით ჩატარდა, გამოიკითხა სტუდენტები, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, დეკანები, სულ სამიზნე ჯგუფის 29 წარმომადგენელი. დოკუმენტურად შემოწმდა აკადემიური პროგრამები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის სამსახურმა განახორციელა შრომის ბაზრის კვლევა რამდენიმე სპეციალობის მიმართულებით: ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია, ფსიქოლოგია. კვლევის ანალიზის შედეგები დაედო საფუძვლად: ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის, აგრეთვე, ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამებში კორექტივების შეტანას. საანგარიშო პერიოდში, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდა საჯარო მმართველობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო გეგმების განახლება. სტუდენტებისთვის შეთავაზებული იქნა ისეთი სასწავლო დისციპლინები (მაგ.: იუვენოლოგიის პოლიტიკური ანალიზი. საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, საპარლამენტო სამართალი, დასაქმება და მიგრაცია და სხვა), რომელთა შესახებ თეორიული ცოდნის მოთხოვნა შრომის ბაზარზე არსებობს. გარდა ამისა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, მომზადდა საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა, რომელსაც მიენიჭა სრული აკრედიტაცია. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსები ასევე გამომდინარეობს შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან და მიზნად ისახავს კონკურენტუნარიან გარემოში სათანადო უნარების მქონე საჯარო მოხელეების მომზადებას. საანგარიშო პერიოდში ბიზნესისა და მართვის სკოლამ საქართველოს შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით განახორციელა შრომის ბაზრის რამდენიმე კომპონენტის ფუნდამენტური კვლევა. კერძოდ საანგარიშო პერიოდში მოხდა საქართველოს უსდ-ების კურსდამთავრებულთა კვლევა, დამსაქმებელთა კვლევა და უმაღლესი

	სასწავლო დაწესებულებების კვლევა. კვლევის შედეგები სამეცნიერო სტატიის სახით გამოიცემა საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში. ასევე კვლევის საფუძველზე 2022 წლის ბოლომდე გამოქვეყნდება მონოგრაფია, რომელიც შეეხება საქართველოში დამსაქმებლებსა და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობას. უნივერსიტეტის ადამიანის უფლებების კვლევითი ინსტიტუტი ასრულებს მუშაობას პროექტზე: „დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში“. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად**

აქტივობა 1.4.5	**შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიების მყისიერად ინფორმირების სისტემის განვითარება.**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტაციის ანალიზი. საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდები: სტრუქტურირებული ინტერვიუ და დოკუმენტაციის ანალიზი. დახურული კითხვარის მეშვეობით შესწავლილ იქნა 44 სტუდენტის მოსაზრება ინფორმირების ოპერატიულობისა და შედეგების თაობაზე. ასევე, შემოწმდა ინფორმირებისათვის გამოყენებული სხვა ფორმები: ვებგვერდი, სოციალური ქსელი და SMS შეტყობინებები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, უნივერსიტეტი სისტემატურად უზრუნველყოფს შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიებისა და სტაჟირებების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებას. ყველა ინფორმაცია ყოველკვირეულად განთავსებულია ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში. სტუდენტები შეტყობინებას ვაკანსიების თაობაზე იღებენ SMS შეტყობინებითაც. ამასთან ერთად, პარტნიორი ორგანიზაციებისაგან მიღებული შეტყობინებების მყისიერად ინფორმირების მიზნით უნივერსიტეტი სხვა აქტივობებსაც იყენებს: სტუდენტების პირად შეხვედრებს დამსაქმებლებთან, საჯარო ლექციებსა და მასტერკლასებს. პანდემიამ რამდენადმე შეაფერხა ამ მიმართულებით აქტიური თანამშრომლობა, საანგარიშო პერიოდში ჩატარებული აქტივობები, ძირითადად,

	ონლაინფორმით შეიცვალა. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.4.7	**სტუდენტთა შეხვედრების ორგანიზება შემოქმედებით და სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებთან, საღამოების, სპორტული შეჯიბრებების ორგანიზება**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ მონიტორინგის ჯგუფმა საკითხის შესამოწმებლად დახურული კითხვარის გამოყენებით გამოიკითხა სამიზნე პოპულაცია / 47 სტუდენტი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, უნივერსიტეტის ახალგაზრდების სამეცნიერო, კულტურული და სპორტული საქმიანობის გააქტიურება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმ მხარდაჭერით, რომელსაც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა იჩენს ახალგაზრდების მიმართ. საანგარიშო პერიოდში ახალგაზრდების ინიციატივით გამართული ღონისძიებები გამოირჩეოდა მრავალფეროვნებითა და კრეატიულობით. **საანგარიშო პერიოდში გამართული ღონისძიებები:** **30 სექტემბერი, 2019** - გრუნის ფსიქოლოგიის მიმართულების სტუდენტები: როენა ბახია, ვერიკო ჩეკურიშვილი, მანანა გელაშვილი, ნატა კურტანიძე, გიორგი კარსანიძე, მაგდა ლომაია, ალექსი ცხოვრებაძე - მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2019-ის ფარგლებში ზუგდიდს ეწვივნენ და მოსწავლეებთან გამართულ შეხვედრებზე ისაუბრეს: ბულინგის, მავნე ჩვევების, ემოციების მართვისა და მოზარდებისათვის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ; https://gruni.edu.ge/main/news/1570008499 **17 ოქტომბერი, 2019 წელი** - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, გაიმართა 90-იანი წლების ეზოს თამაშები! სტუდენტებმა გააცოცხლეს ჩვენი ქვეყნის უახლესი წარსული, საქართველოს ისტორიის რთული პერიოდი - 90-იანი წლები და უნივერსიტეტის ეზოში შექმნეს იმ

	დროისთვის დამახასიათებელი ატმოსფერო. სტუდენტური ღონისძიების ატრიბუტიკას წარმოადგენდა: ლამპა, ე.წ. წითელი ნავთქურა, მანქანის ძარაზე სახელდახელოდ გაშლილი სუფრა, აქ იყვნენ პოლიციის ფორმაში გამოწყობილი „სამართლადამცავები“ თუ „ავტომატით“ შეიარაღებული ახალგაზრდებიც. სტუდენტებმა 90-იანი წლების ჩაცმის სტილიც მოირგეს. https://gruni.edu.ge/main/news/1573794499 **სექტემბერ-ოქტომბერი, 2019** - ტრადიციული Welcome Party - პირველკურსელთა წვეულება და Graduation Party - კურსდამთავრებულთა საზეიმო გაცილების ცერემონია; https://gruni.edu.ge/main/news/1570794304 https://gruni.edu.ge/main/news/1570377482 **28 სექტემბერი, 2019 -** მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა სტუდენტებთან ერთად მოსწავლეების წინაშე ორი მიზნობრივი სამეცნიერო შოუ: „საგამოძიებო სიმულაცია“ და „ჯანმრთელი ღიმილი ყველას“, აგრეთვე, ექსპოზიცია „ქართული სახელმწიფოებრიობა და დიპლომატიკა“, წარადგინეს. https://gruni.edu.ge/main/news/1569762366 **25 ნოემბერი, 2019** - გრუნის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით, დაიწყო ახალგაზრდული აქციას: *სტუდენტური გადაძახილი - არა დამოკიდებულებას,* რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდებს შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის ხელშეწყობას და სტუდენტთა გაერთიანებას ამ იდეის გარშემო. ამ აქციის ფარგლებში, უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. https://gruni.edu.ge/main/news/1575524039 **6 ნოემბერი, 2019** - გრუნიმ ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოსთან (AUF) თანამშრომლობის ფარგლებში, უმასპინძლა საქართველოს საშუალო სკოლების ფრანგული ენის პედაგოგებს. https://gruni.edu.ge/main/news/1573563309 **3 ნოემბერი, 2019** - გრუნის სტუდენტურმა გუნდმა "საურონი" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის "ჯერონიმო" წინააღმდეგ გამართულ პაექრობაში წიგნების თაროს სტუდენტური სეზონის მე-7 შეხვედრის მერვედფინალში გაიმარჯვა და შემდეგ ეტაპზე გადავიდა; https://gruni.edu.ge/main/news/1572851062 **28 ოქტომბერი, 2019** - გრიგოლ რობაქიძის სახელობის

	უნივერსიტეტმა საზეიმოდ აღნიშნა დიდი ქართველი მწერლის, პუბლიცისტისა და მოაზროვნის გრიგოლ რობაქიძის დაბადების დღე. ანედრძის თანახმად, სტუდენტებმა სვეტიცხოველში დაანთეს სანთლები, უნივერსიტეტში გაიმართა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენა და უნივერსიტეტთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია; https://gruni.edu.ge/main/news/1572427892 **2019 წლის 23 დეკემბერს** ახალგაზრდა მმართველთა ასოციაციის ორგანიზებით გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა საჯარო ლექცია-დისკუსია თემაზე „ჰიბრიდული ომი - 21-ე საუკუნის გამოწვევა“. ლექციის წასაკითხად სტუდენტებმა მოიწვიეს გიორგი ტუმასიანი - მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური ლიდერი და საერთაშორისო ორგანიზაციის - "Young Professionals in Foreign Policy", ახალგაზრდა პროფესიონალი; ასევე, გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი 2017-2018 წლებში. ლექციაზე განიხილეს: ჰიბრიდული ომის მნიშვნელობა, ჰიბრიდული ომის ნიშნები 2008 წლის რუსეთ-საქართველოს დაპირისპირებისას, თავდაცვისა და თავდასხმის მექანიზმები ჰიბრიდულ ომში და სხვა საკითხები. https://gruni.edu.ge/main/news/1577257069 უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრანტების ახალი პროექტი ბავშვის უფლებათა კოდექსის იმპლემენტაციის ხელშეწყობას უკავშირდება. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტი ძალაში მიმდინარე წლის 1 ივნისიდან შედის და სტუდენტებმა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ სფეროში შექმნილი ვითარება რთულია, მნიშვნელოვნად მიიჩნიეს მოემზადებინათ პროექტი და მოზარდებთან ერთად ესაუბრათ კოდექსით გათვალისწინებული ბავშვის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. https://gruni.edu.ge/main/news/1578564196 2019 წლის 19 დეკემბერს, უნივერსიტეტის სტუდენტური გაერთიანება „ალმა მატერის“ ინიციატივით, გაიმართა სტუდენტების მიერ საახალწლო თემატიკაზე შექმნილი ნამუშევრების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სამართლისა და ფსიქოლოგიის მიმართულების სტუდენტების - ლიკა კინწურაშვილის, მარიტა მჟავანაძისა და სელენია ივანიშვილის ნამუშევრები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტების ანი კინწურაშვილისა და სალომე გრიგალაშვილის, აგრეთვე, თბილისის 128-ე საჯარო სკოლის

	მოსწავლის ლიზი ნატროშვილის ნამუშევრები, რომლებიც, ძირითადად, შერეული ტექნიკით იყო შესრულებული. დამთვარიელებელთა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ლიკა კინწურაშვილის ოჯახური დინასტიის შემოქმედებამ, გამოფენილი იყო მისი დისა და დედის ნამუშევრებიც. https://gruni.edu.ge/main/news/1577260657 **13 დეკემბერი, 2019** - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში სტუდენტური კლუბი "GRUNI-CINEMA" გაიხსნა, ეს იქნება სტუდენტების შეკრების, ფილმების ჩვენება - განხილვისა და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ დისკუსიების გამართვის ადგილი, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებასა და ინტელექტუალურ ზრდას. https://gruni.edu.ge/main/news/1576252208 **5 დეკემბერი, 2019** - ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლის საუნივერსიტეტო კვირეულის ფარგლებში გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სტუდენტებმა სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფ ბავშვებს უმასპინძლეს. თითოეულ მოსწავლეს საახალწლო საჩუქრები გადაეცა. მოსწავლეების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთები კი უნივერსიტეტმა და ღონისძიებაში მონაწილე სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა შეიძინეს. https://gruni.edu.ge/main/news/1575870819 **29 ნოემბერი, 2019** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორები დავით ხარძეიშვილი და რომან ბოლქვაძე გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტებს შეხვდნენ და ახალგაზრდებთან გენდერული და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხები განიხილეს. https://gruni.edu.ge/main/news/1575279872 **20-23 ნოემბერი, 2019** - ახლად შექმნილი სტუდენტური გაერთიანება „ალმა მატერის" ინიციატივით, გრუნიში გაიმართა ტურნირი მინი ფეხბურთში „ალმას თასი- 2019".ტურნირში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტისა და პარტნიორი სკოლების - ევროპული სკოლის, თბილისის №23 და №98 საჯარო სკოლების, საფეხბურთო გუნდები. https://gruni.edu.ge/main/news/1574832177 **28 დეკემბერი, 2019** - წინასაახალწლოდ, სტუდენტური

	თვითმმართველობის წევრები, მოხუცთა თავშესაფარ "ლაზარეთს" ესტუმრნენ და თავიანთი ყურადღებით გაახარეს მისი მობინადრეები. https://gruni.edu.ge/main/news/1578467473 **8 იანვარი, 2020** - უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრანტების ახალი პროექტი ბავშვის უფლებათა კოდექსის იმპლემენტაციის ხელშეწყობას უკავშირდება. სტუდენტებმა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ სფეროში შექმნილი ვითარება რთულია, მნიშვნელოვნად მიიჩნიეს მოემზადებინათ პროექტი და მოზარდებთან თუ ამ საკითხებით დაინტერესებულ ადამიანებთან ერთად ესაუბრათ. https://gruni.edu.ge/main/news/1578564196 **25 იანვარი, 2020** - გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტმა და ეკონომიკისა და სამართლის საერთაშორისო საბჭომ ერთობლივად ჩაატარეს გაეროს გენერალური ასამბლეისა (UN) მოდელირება ინგლისურ ენაზე და განიხილეს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებულ პრობლემები.მოდელირებაში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის სხვადასხვა სკოლისა და პარტნიორი უნივერსიტეტების - კავკასიის, საქართველოსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტებიც, აგრეთვე, საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრის წარმომადგენლები, ამერიკის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, ინტერნეტტექნოლოგიების აკადემიისა და მიდლესექს უნივერსიტეტის სტუდენტები. https://gruni.edu.ge/main/news/1580274710 **30 იანვარი, 2020 – მოსწავლის შეფასება:** საოცარი ადამიანების მიერ შექმნილი საოცარი პროექტი - ეს ის გამოცდილებაა, რომელიც ცხოვრების ბოლომდე გამყვება. ის ინფორმაციაა, რომელიც შემიძლია ჩემი და ჩემი თანატოლების დასაცავად გამოვიყენო. ამ პროექტმა მოგვცა ცოდნა და განა არსებობს ცოდნაზე დიდი ძალა ამქვეყნად?!- გრუნიმ პროექტი „ვსწავლობთ ბავშვის უფლებებს" განახორციელა https://gruni.edu.ge/main/news/1580390192 **27 იანვარი, 2020** - თბილისის საკრებულოში ჰოლოკოსტის ხსოვნის საერთაშორისო დღე აღინიშნა, რომელსაც თბილისის საკრებულოს, საქართველოს პარლამენტის წევრებისა და დიპლომატიური კორპუსის გარდა ქართული უნივერსიტეტების, მათ შორის, გრუნის სტუდენტებიც მონაწილეობდნენ.

	https://gruni.edu.ge/main/news/1580381819 **2020 წლის 10 აგვისტოს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები ჩაერთვნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ახალ პროექტში - „7 დღე ჯარისკაცად“. პალდოს სამხედრო ბაზაზე გაიმართა პროექტის ოფიციალური წარდგენა, რომელსაც 17 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს წარმოადგენდა სტუდენტური გაერთიანება „ალმა მატერის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი როენა ბახია და სტუდენტი ანინა გიგუაშვილი. **https://gruni.edu.ge/main/news/1597306549** **17 ივლისი, 2020** - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, საფრანგეთის ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტმა - ცოტნე სანაიამ, ვიდეოინტერვიუ - „მსოფლიოს ახალი ეკონომიკური წესრიგი - რეალობა და პერსპექტივები“, ჩაწერა პროფესორ დემურ გიორხელიძესთან. https://gruni.edu.ge/main/news/1595575789 ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით უნივერსიტეტის ახლად გახსნილი, კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი ხშირად მასპინძლობს ამხანაგურ მატჩებსა და ტურნირებზე სხვადასხვა უნივერსიტეტისა და პარტნიორი სკოლების საფეხბურთო და საკალათბურთო გუნდებს. უნივერსიტეტში ტრადიციულად ყოველწლიურად ტარდება ტურნირი ფეხბურთში - „რობაქიძის თასი“, „ ალმას თასი“. **სამოქმედო გეგმის ამ პუნქტის შესრულება შეიძლება ჩაითვალოს სრულად.**

აქტივობა 1.4.8	**სტუდენტთა ინიციატივების წახალისება-სტარტაპების სისტემის დანერგვა**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / ივნისი, 2020
კვლევის მეთოდი	**გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი.** მონიტორინგის კომისიამ არსებული ვითარების დასადგენად, რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებით, კერძოდ კი, დახურული კითხვარის მეშვეობით, გამოკითხა სამიზნე ჯგუფის 32 წევრი /

	სტუდენტი. დოკუმენტების ანალიზით შემოწმდა განხორციელებული საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები: სამეცნიერო კვლევებისა და შემოქმედებითი ინიციატივების ფონდის დებულება, ოქმები, სტუდენტური თვითმმართველობის მიერ განხორციელებული აქტივობები, საფინანსო დოკუმენტები და გრუნის ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებითა და არსებული დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ უნივერსიტეტში შექმნილია სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი ინიციატივების ფონდი, რომელიც აფინანსებს, არამარტო კვლევით პროექტებს, არამედ სტუდენტთა და პერსონალის ინიციატივებს. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა მხარი დაუჭირა სტუდენტური თვითმმართველობისა და ცალკეული სტუდენტის 11 ინიციატივას, კერძოდ: **2019 წლის 30 სექტემბერს** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების სტუდენტები, უნივერსიტეტის მხარდაჭერით, მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში, ზუგდიდს ეწვივნენ და მოსწავლეებთან ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს, როგორებიცაა: ბულინგი, ემოციების მართვა, მავნე ჩვევები და ა.შ. https://gruni.edu.ge/main/news/1570008499 **2019 წლის 17 ოქტომბერს,** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, გაიმართა 90-იანი წლების ეზოს თამაშები! სტუდენტებმა გააცოცხლეს ჩვენი ქვეყნის უახლესი წარსული, საქართველოს ისტორიის რთული პერიოდი - 90-იანი წლები და უნივერსიტეტის ეზოში შექმნეს იმ დროისთვის დამახასიათებელი ატმოსფერო. სტუდენტური ღონისძიების ატრიბუტიკას წარმოადგენდა: ლამპა, ე.წ. წითელი ნავთქურა, მანქანის ძარაზე სახელდახელოდ გაშლილი სუფრა, აქ იყვნენ პოლიციის ფორმაში გამოწყობილი „სამართლადამცავები“ თუ „ავტომატით“ შეიარაღებული ახალგაზრდებიც. სტუდენტებმა 90-იანი წლების ჩაცმის სტილიც მოირგეს. https://gruni.edu.ge/main/news/1573794499 **2019 წლის 28 ოქტომბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში საზეიმოდ აღინიშნა დიდი ქართველი მწერლის, პუბლიცისტისა და მოაზროვნის გრიგოლ რობაქიძის დაბადების დღე. საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში უნივერსიტეტის სტუდენტები, ტრადიციულად, მწერლის ანდერძის თანახმად, ეწვივნენ სვეტიცხოვლის ტაძარს და პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

	https://gruni.edu.ge/main/news/1572427892 **2019 წლის 22-23 ნოემბერს** სტუდენტური გაერთიანება „ალმა მატერის“ ინიციატივით, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში გაიმართა ტურნირი მინი ფეხბურთში „ალმას თასი- 2019“. https://gruni.edu.ge/main/news/1575523619 **2019 წლის 25 ნოემბერს** სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით, ჩატარდა ახალგაზრდული აქცია: *სტუდენტური გადაძახილი - არა დამოკიდებულებას*, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდებს შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის ხელშეწყობას და სტუდენტთა გაერთიანებას ამ იდეის გარშემო. ამ აქციის ფარგლებში, უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაც. https://gruni.edu.ge/main/news/1575524039 **2019 წლის 4 დეკემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში სტუდენტების ინიციატივით გაიმართა აქცია - “სისხლის უანგარო დონორი“. https://gruni.edu.ge/main/news/1575523619 **2019 წლის 19 დეკემბერს,** უნივერსიტეტის სტუდენტური გაერთიანება „ალმა მატერის“ ინიციატივით, გაიმართა სტუდენტების მიერ საახალწლო თემატიკაზე შექმნილი ნამუშევრების გამოფენა. https://gruni.edu.ge/main/news/1577260657 **2019 წლის 13 დეკემბერს,** ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტთა ინიციატივით, სტუდენტური კლუბი “GRUNI-CINEMA” გაიხსნა, აქ გაიმართება ფილმების ჩვენება - განხილვა და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ დისკუსია. https://gruni.edu.ge/main/news/1576252208 **4 დეკემბერს** ბათუმის წარმომადგენლობაში, სტუდენტების ინიციატივით, გაიმართა აქცია - “სისხლის უანგარო დონორი“ https://gruni.edu.ge/main/news/1575523619 **28 დეკემბერს,** წინასაახალწლოდ, სტუდენტური თვითმმართველობის წევრები, მოხუცთა თავშესაფარ “ლაზარეთს“ ესტუმრნენ, ახალგაზრდებმა დამდეგი ახალი წელი მიულოცეს ხანდაზმულ ადამიანებს, ტკბილეული და საყოფაცხოვრებო ნივთები გადასცეს მათ და კიდევ ერთხელ დაუდასტურეს თავიანთი პატივისცემა და სითბო. https://gruni.edu.ge/main/news/1578467473

	2020 წლის 9 იანვარს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მხარდაჭერით მეორედ დაიწყო პროექტი სტუდენტებისათვის კარიერისა და დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების, რომელსაც საერთაშორისო ექსპერტი მაკა კუკავა ხელმძღვანელობს. https://gruni.edu.ge/main/news/1578641965 სტუდენტების ინიციატივების განხორციელება შეფერხდა ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.5.1	**დებულების შემუშავება სტუდენტის ომბუდსმენის შესახებ და კონკურსის გამოცხადება სტუდენტთა შორის კანდიდატურების შესარჩევად**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / ივნისი, 2019
კვლევის მეთოდი	**დოკუმენტების ანალიზი.** სტუდენტთა ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღებასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებით გაწეული საქმიანობის თაობაზე მონიტორინგის ჯგუფმა შედეგები შეაჯამა და შეაფასა სასწავლო წლის ბოლოს, 2020 წლის ივნისში. საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა დოკუმენტების ანალიზის მეთოდი, კერძოდ, შეისწავლა საანგარიშო პერიოდში დოკუმენტურად დადასტურებული სამუშაოები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ უნივერსიტეტმა დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები სტუდენტთა ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღების თაობაზე, კერძოდ, 2018-2019 სასწავლო წელს შეიმუშავა სტუდენტური ომბუდსმენის არჩევის წესი და კრიტერიუმები, 2019-2020 სასწავლო წელს გამოაცხადა კონკურსი, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო კონკურსი გადაიდო მდგომარეობის საბოლოო გამოსწორებამდე. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა ნაწილობრივ.**

აქტივობა 2.1.1	**სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის მართვის პლატფორმის შექმნა**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / ივნისი, 2019
კვლევის მეთოდი	შემთხვევის ანალიზი/დაკვირვება
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	მონიტორინგის ჯგუფის მიერ საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პლატფორმაზე მუშაობა არ დასრულებულა. შექმნილია ცალკეული ბლოკები. გრძელდება მუშაობა. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა**

აქტივობა 2.1.2	**ინოვაციური ლაბის შექმნა და საქმიანობის განხორციელება**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	გამოიკითხა სამიზნე ჯგუფის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, სულ 34 მონაწილე. შემოწმდა დოკუმენტები ინოვაციური ლაბის შექმნის შესახებ, სამუშაო გეგმა, განხორციელებული საქმიანობა, ასევე, ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით გაწეული საქმიანობა შეიძლება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად. კერძოდ: ახალგაზრდული პოლიტიკის, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური დარგის, სამეცნიერო საფუძვლების მოსამზადებლად გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დოქტორანტის გიორგი მომცელიძის ინიციატივით, 2018 წლის 22 ივნისს იუვენოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია შეიქმნა. ლაბორატორია განახორციელებს

	ინტერდისციპლინურ სამეცნიერო კვლევებს შემდეგი მიმართულებებით: სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა, განათლება, ახალგაზრდობის პრობლემები და სამართალი, სოციალური პოლიტიკა, ეკონომიკა, ბავშვთა და ახალგაზრდობის უფლებები, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და მოძრაობების ისტორია და სხვა. ლაბორატორია ხელს შეუწყობს ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებასა და უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების ეფექტურად განხორციელებას, ორგანიზებას გაუწევს სწავლებას, ტრენინგებსა და კონსულტაციებს, ამ საკითხებზე გამოსცემს სამეცნიერო პუბლიკაციებსა და ნაშრომებს, ითანამშრომლებს ყველა იმ სტრუქტურასთან, რომლებიც ახალგაზრდულ პრობლემებზე მუშაობენ. 2019 წელს იუვენოლოგიის სამეცნიერო-კვლევითმა ლაბორატორიამ პირველი ღონისძიება, სტუდენტური კონფერენცია: "შეთანხმება კასპიის ზღვის სტატუსზე – მიზნები, გამოწვევები და ახალგაზრდობის პერსპექტივები" ჩაატარა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა თურქმენეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში დოვლეტმურატ მურადოვი. მანამდე გრუნის რამდენიმე ღონისძიება ჰქონდა განხორციელებული სტუდენტთა ინოვაციური განათლების ხელშეწყობის მიზნით, კერძოდ: პროექტი - „ერთობა ინოვაციური განათლებისათვის", რომელიც „განათლების მეცნიერებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების აკადემიასთან" ერთად დაიგეგმა და მიზნად ისახავს ინოვაციებითა და ტექნოლოგიებით დაინტერესებულ პირთა შორის სამუშაო შეხვედრების გამართვას, ინფორმაციის ურთიერთგაცვლას, სტუდენტებისათვის სიახლეების გაცნობას, გამოცდილების გაზიარებს, ადგილობრივი პოტენციალის განვითარების ხელშეწყობას, ორგანიზაციათა ერთიანი ბაზის შექმნას და სხვა. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა ნაწილობრივ.**

აქტივობა 2.1.3	**სამეცნიერო კვლევების პროგრამული დაფინანსების სისტემის აღდგენა/დანერგვა**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2020

კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ დახურული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა სამიზნე ჯგუფის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, სულ 34 მონაწილე.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევით დადგინდა, რომ უნივერსიტეტმა 2019 წლიდან დაიწყო სამეცნიერო კვლევების პროგრამული დაფინანსების სისტემის აღდგენა, შეიმუშავა ფინანსური მხარდაჭერის სრულიად ახალი მექანიზმი, კერძოდ, ახალგაზრდა მკვლევრებისა და მეცნიერების სამეცნიერო საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერისათვის დაარსა მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების ფონდი, რომლის კოლეგიალური ორგანო (კომიტეტი) იხილავს აკადემიური პერსონალისა და სამეცნიერო თანამშრომლების/თანამშრომელთა ჯგუფის, სტუდენტთა/სტუდენტთა ჯგუფის სამეცნიერო-კველვით ან სხვა სახის სამეცნიერო პროექტებს და იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში მისი დაფინანსება/არდაფინანსების შესახებ. სამეცნიერო-კვლევითი პროექტი შეიძლება წარდგენილ იყოს კომიტეტის მიერ გამოცხადებული სამეცნიერო პროგრამის ფარგლებში ან მის გარეშე. კომიტეტი სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს აყალიბებს დამოუკიდებლად, უნივერსიტეტის სამეცნიერო პრიორიტეტების გათვალისწინებით ან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებული წინადადებების საფუძველზე და წარუდგენს აკადემიურ კომიტეტს დასამტკიცებლად. დაფინანსების ძირითადი კრიტერიუმია პროექტის აქტუალობა და დამტკიცებულ პროგრამათა მოთხოვნებთან შესაბამისობა (ასეთის შემთხვევაში). კონკურსში მონაწილეობისათვის მიიღება ის პროექტებიც, რომელთა პრობლემატიკას არ ითვალისწინებს საკონკურსო პროგრამა და, აქტუალობის შემთხვევაში, ეს პროექტებიც დაფინანსდება. ინდივიდუალური დატვირთვით განსაზღვრული კვლევებისთვის პერსონალის სამეცნიერო აქტივობის დაფინანსების კომპონენტი გათვალისწინებულია სახელფასო ტარიფში, კერძოდ: აკადემიური პერსონალის შრომითი ანაზღურება მოიცავს, როგორც სასწავლო-მეთოდურ, ისე სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს, შესაბამისად, 50/50 პროცენტის შეფარდებით. იმ შემთხვევაში, თუ პერსონალი მუშაობს საათობრივი ანაზღაურების წესით, მას, სამეცნიერო მუშაობის შედეგებისთვის, ემატება მისი საათობრივი ანაზღაურების 40 პროცენტი, ხოლო თუ მისი დატვირთვა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას მოიცავს - უნაზღაურდება შესაბამისი სამეცნიერო კომპონენტისათვის დადგენილი დროის მოცულობა საათობრივი ანაზღაურების სრული

	ტარიფით, ხოლო საშტატო განაკვეთით მომუშავე პერსონალს ეძლევა ხელფასის სრული განაკვეთით გათვალისწინებული საზღაური, რომელიც მოიცავს სამეცნიერო დატვირთვის ანაზღაურებას აღნიშნული შეფარდებით. 2019 წლის 16 ოქტომბერს უნივერსიტეტმა გამოაცხადა სამეცნიერო კვლევებისა და შემოქმედებითი ინიციატივის ფონდის 2019-2021 წწ. პრიორიტეტული პროგრამები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ **სამეცნიერო კვლევების განვითარების მიზნით** ფონდი მხარს დაუჭერს ყველა პროექტს/აქტივობას, რომელიც დაკავშირებული იქნება საზოგადოების მხარდაჭერასა და დარგობრივი მეცნიერების განვითარებასთან. ფონდი პრიორიტეტულად მიიჩნევს: **ა .** ფუნდამენტურ კვლევას, რომელიც ხელს შეუწყობს დარგობრივი მეცნიერების განვითარებას; **ბ .** პროექტს, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების სამართლებრივი, პოლიტიკური და ბიზნესის მიმართულებით განვითარებას. პროექტი შეიძლება იყოს წიგნი, ჟურნალი, ტრენინგი, ლექციათა ციკლი, უნივერსიტეტში კვლევითი ერთეულის ჩამოყალიბება და სხვა მსგავსი აქტივობა. პრიორიტეტულად ჩაითვლება ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა საკითხების გაშუქება. https://gruni.edu.ge/main/news/1576518944 2019 წლის 18 ნოემბერს უნივერსიტეტმა შექმნა ახალი სამეცნიერო პროექტი - „აკადემიური ბლოგი“. ბლოგური სისტემა სტუდენტებსა და პროფესორებს აძლევს საშუალებას მოახდინონ თავიანთი ცოდნისა და იდეების კომუნიკაცია ფართო აუდიტორიასთან, გამოაქვეყნონ თავიანთი ნამუშევრები - ბლოგები, ვლოგები და ვებინარები. https://gruni.edu.ge/main/news/1574169537 საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ბიუჯეტით, ძირითადად, დაფინანსდა სამეცნიერო სტატიები საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ნაშრომები, გამოიცა სამეცნიერო სახელმძღვანელოები და კრებულები, დაფინანსდა დოქტორანტების სახელმძღვანელოები, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობა ონლაინკონფერენციებში, ეპიდემიოლოგიურმა ვითარებამ ხელი შეუშალა სტუდენტების, ახალგაზრდა მკვლევრებისა და მეცნიერების აქტიურად ჩართვას საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და შეკრებებში.

	კონკრეტული ღონისძიებები: 2019 წლის 25 ოქტომბერს ჰამბურგის უნივერსიტეტის ევროპის კოლეჯსა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე და ევროკავშირის სამართლის სწავლების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში გამოიცა ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, რომლის ავტორები არიან: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ლექტორი - გიორგი მირიანაშვილი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი - ალექსანდრე დევიძე; https://gruni.edu.ge/main/news/1572591925 2019 წლის 24 დეკემბერს, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში გაიმართა სამართლის დოქტორის, უნივერსიტეტის პროფესორის სერგი ჯორბენაძის ახალი გამოცემის - „სოციალური მედიის სამართალი“, პრეზენტაცია. წიგნი გამოიცა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და გრუნის მხარდაჭერით და ემსახურება ისეთი აქტუალური სფეროს სამართლებრივ მოწესრიგებას, როგორიცაა სოციალური მედია. https://gruni.edu.ge/main/news/1577692398 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.1.4	**იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალებში სამეცნიერო სტატიის დაბეჭდვის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / ივნისი, 2020
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი საანგარიშო პერიოდში ანკეტირებით (დახურული კითხვების მეშვეობით) გამოიკითხა სამიზნე ჯგუფის 26 წევრი, შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: ჩატარებული სამეცნიერო კვლევები, მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების ფონდის დადგენილებები, გამოცემული სამეცნიერო სტატიები თუ სახელმძღვანელოები და სხვ.

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა მიერ აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, 2019 წლიდან აღედგინა სამეცნიერო კვლევების პროგრამული დაფინანსების სისტემა და შეემუშავებინა ფინანსური მხარდაჭერის სრულიად ახალი მექანიზმი, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გააქტიურება, ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევრების სამეცნიერო საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერაც და სხვადასხვა საგრანტო პროგრამის შეთავაზებაც, რაც დამატებით სტიმულს აძლევს მეცნიერს როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ისე უნივერსიტეტის სამეცნიერო პრიორიტეტებისა და საჭიროებების გათვალისწინებით სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების/პროექტების მოსამზადებლად და წარმატების მისაღწევად. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების ფონდი, შესაბამისი საპროექტო განაცხადის საფუძველზე, უზრუნველყოფს იმპაქტ-ფატორის ჟურნალებში სტატიების დაბეჭდვას. გარდა ამისა, აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების სამეცნიერო სტატიებისათვის უნივერსიტეტში ყოველწლიურად გამოიცემა სამეცნიერო ჟურნალი „აკადემიური მაცნე“. გრუნის სამეცნიერო ჟურნალში „კრიმინოლოგი“, იბეჭდება უცხოელ ავტორთა ნაშრომებიც. **კონკრეტული გამოცემები:** იმფაქტ ფაქტორის 2017:7.383 საერთაშორისო ჟურნალის - “International Journal of Recent Scientific Research“, **2020 წლის 28 მარტის ნომერში** გამოქვეყნდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორის მაკა სალხინაშვილისა და სემეკის წევრის, ბიზნესის ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის მაია მელიქიძის ერთობლივი სამეცნიერო სტატია: „მომსახურების ხარისხის მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში“. სტატიაში აღწერილია საქართველოში ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში მომსახურების კომერციული ხარისხის რეგულაციები, განხორციელებული საკანონმდებლო რეფორმა, რომელიც იცავს მომხმარებელების უფლებებს კომუნალურ სფეროში. https://gruni.edu.ge/main/news/1588052329

	2020 წლის 6 მაისს გამოიცა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ვურცბურგის იულიუს მაქსიმილიანეს სახელობის უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო კრებული: "ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და კონსტიტუციური სტანდარტები". კრებულში წარმოდგენილია საზაფხულო სკოლის ფარგლებში ქართველი და გერმანელი მეცნიერების მიერ წაკითხული ლექციები ადამიანის უფლებათა დაცვის აქტუალური საკითხების შესახებ, კერძოდ: ევროკავშირის ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის, პირადი ცხოვრებისა და მონაცემთა დაცვის უფლების ევროპული სტანდარტების, ეროვნულ - სამართლებრივ სისტემებში ადამიანის უფლებათა დაცვის, ევროპის სასამართლოს პრაქტიკის მნიშვნელობის, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლების, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. https://gruni.edu.ge/main/news/1588826152 **2020 წლის 20 ივნისს** მომზადდა და გამოქვეყნდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ერთობლივი საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალის - "საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალის", 2020 წლის სპეციალური გამოცემა, რომელიც მიეძღვნა საგანგებო მდგომარეობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირებისა და ასეთ ვითარებაში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს. ჟურნალში მოცემულია ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები, რომლებიც, ასევე, ქვეყნდება „Heinonline"- ის სამართლებრივი სტატიების საერთაშორისო საძიებო სისტემაში. „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი" გამოიცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე და განკუთვნილია სამართლის სფეროში მოღვაწე მეცნიერების, ექსპერტებისა და სტუდენტებისათვის. https://gruni.edu.ge/main/news/1592669421 პერიოდულად გამოდის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სერია Philo sofhy in Global Change. Jubilee volume dedicated to the 65 anniversary of Burkhard; **სხვა გამოცემები:** **25 ოქტომბერი, 2019 წელი.** ევროკავშირის სამართლის სწავლების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში გამოიცა ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, რომლის ავტორები არიან გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ლექტორი გიორგი მირიანაშვილი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი - ალექსანდრე დევიძე. **https://gruni.edu.ge/main/news/1575437326**

	2019 წლის 24 დეკემბერს, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში გაიმართა სამართლის დოქტორის, უნივერსიტეტის პროფესორის სერგი ჯორბენაძის ახალი გამოცემის - „სოციალური მედიის სამართალი“, პრეზენტაცია. წიგნი გამოიცა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით და ემსახურება ისეთი აქტუალური სფეროს სამართლებრივ მოწესრიგებას, როგორიცაა სოციალური მედია. https://gruni.edu.ge/main/news/1577692398 **2019 წლის 2 დეკემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში გაიმართა ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის პროფესორის ნიაზ ზოსიძის წიგნის - "აჭარა-ფარი საქართველოისა", პრეზენტაცია. ღონისძიებას ესწრებოდნენ: თორნიკე რიჟვაძე- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარე; მაია ხაჯიშვილი - აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი; ზაალ მიქელაძე - აჭარის ჯანდაცვის მინისტრი, https://gruni.edu.ge/main/news/1575437326 **2020 წლის 10 აპრილს** გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამართლის პროგრამის ფარგლებში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მონაწილეობით გამოიცა მეთოდოლოგიური გზამკვლევი - ***სახელმწიფო მოწყობის სამართალი,*** სტუდენტებისა და ლექტორებისათვის. https://gruni.edu.ge/main/news/1586496942 **2020 წლის 14 ივნისი.** პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების მიუხედავად, დაიბეჭდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და გიორგი მაჩაბლის ფონდის ერთობლივი გამოცემის – ჟურნალ „ქართული ემიგრაციის“, მორიგი, მე-5 (8) ნომერი (რედაქტორი ოთარ ჯანელიძე). https://gruni.edu.ge/main/news/1592192030 **დასკვნა: სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.1.5	**ყოველი წლის ბოლოს საინფორმაციო ბიულეტინის გამოცემა აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევების შესახებ**

მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / ივნისი, 2020
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კოვიდ-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად საჭირო პროცედურები გადაიდო შემდეგი საანგარიშო პერიოდისთვის. **დასკვნა: აღნიშნული პუნქტით დაგეგმილი საკითხი არ შესრულდა**

აქტივობა 2.1.6	**საბიბლიოთეკო რესურსის გაფართოება საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფისა და ახალგაზრდა მკვლევართა და აკადემიური პერსონალის კვლევების საჭიროების შესაბამისად**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2020
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში ანკეტირებით (დახურული კითხვების მეშვეობით) გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი - სტუდენტები და აკადემიური პერსონალი, სულ 58 წევრი, შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: განახლებული წიგნადი ფონდი - ნაჩუქარი, ნაყიდი, ელექტრონული და ფიზიკური სახით; სამეცნიერო ელექტრონული ბაზები. საბიბლიოთეკო რესურსების შესყიდვისა და აღრიცხვის სისტემა, ასევე, სხვა დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდი სრულად აკმაყოფილებს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მოთხოვნებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის სათანადოდ წარმართვისათვის. ყოველწლიურად ახლდება წიგნადი ფონდი და ელექტრონული ბაზები, დისციპლინების მიხედვით ემატება სავალდებულო და დამხმარე სახელმძღვანელოები, სამეცნიერო ლიტერატურა. აკადემიური პერსონალისათვის ხელმისაწვდომია თანამედროვე კვლევები და სხვადასხვა ქვეყნის მიღწევები ამა თუ იმ დარგში და სხვა. კერძოდ: სანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა და განახლდა მედიცინის, საჯარო მმართველობის, სამართლის, ბიზნესის

	ადმინისტრირების, ფსიქოლოგიის, მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ინგლისური და ქართულენოვანი სასწავლო ლიტერატურა/სახელმძღვანელო. მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს საბიბლიოთეკო ფონდების დიგიტალიზაცია. 2019-2020 სასწავლო წელს ბიბლიოთეკაში როგორც ნაყიდი, ისე ჩუქების სახით, შემოსულია **108** ერთეული წიგნი ფიზიკური სახით (შეძენა, ჩუქება). **88** ერთეული ჟურნალი (შეძენა, ჩუქება) და **3** ელექტრონული წიგნი (შეძენა) . ყოველწლიურად ახლდება ხელშეკრულება გამომცემლობა „მაცნესთან“, 2019 წლის ნოემბრიდან უნივერსიტეტი თანამშრომლობს „საკანონმდებლო მაცნესთან“, სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის დახმარებით, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს აქვთ წვდომა Elsevier-ის ბაზებზე. აგრეთვე, 2019 წლიდან გაფორმებულია ხელშეკრულება ,,EBSCO''-ს სამეცნიერო ბაზის გამოყენების შესახებ. საანგარიშო პერიოდში საბიბლიოთეკო რესურსების გაფართოების მიზნით განხორციელდა კიდევ ერთ სამეცნიერო ბაზაზე წვდომა. 2019 წლის 15 ნოემბრიდან გრიგოლ რობაქიძის უნივერსტეტის სტუდენტებსა და აფილირებულ პერსონალს შეუძლიათ გამოიყენონ „ჰეინონლაინის"- www.heinonline.org - სამეცნიერო ბაზები. სისტემა ავტომატურად ახორციელებს მომხმარებლის გადამისამართებას შესაბამის მონაცემთა ბაზებზე, ბაზების მისამართზე შესვლა შესაძლებელია უნივერსიტეტის ქსელთან დაკავშირებული მოწყობილობით, ყოველგვარი დამატებითი ავტორიზაციის გარეშე. https://gruni.edu.ge/main/news/1573892402 ქვეყანაში განვითარებული ეპიდემიოლოგიური ვითარების კვალდაკვალ უნივერსიტეტმა უზრუნველყო სასწავლო და სამეცნიერო წიგნადი ფონდის **გაციფრულება/ელექტრონული ვერსიების** მომზადება, რითაც შეძლო სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვა. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.1.8	**სამეცნიერო-კვლევების კომერციალიზაციის მიზნით სახელმწიფო და კერძო სექტორის ორგანიზაციებთან ურთიერთმომგებიანი**

	თანამშრომლობის განვითარება
მონიტორინგის პერიოდი	**2019-2020 სასწავლო წელი/ ივნისი, 2020**
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა საანგარიშო პერიოდში დახურული კითხვების მეშვეობით გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი - უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები, სულ 3 წევრი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	მიმდინარეობს მუშაობა კომპანიებთან, მაგრამ დაკვეთები არ შემოსულა. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 2.1.9	**ციტირების ინდექსის გაზრდის ხელშეწყობისათვის პრემირების სისტემის შემუშავება და განხორციელება**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ ივნისი, 2020
კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი. შემოწმდა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია: რექტორის ბრძანება პრემირების სისტემის შესახებ, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტანდარტი, გაანალიზდა ციტირების არსებული მონაცემები (რანჟირება) და სხვა დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	ქვეყნის მასშტაბით სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების მწირი დაფინანსების ერთ-ერთი მიზეზია ქართული სამეცნიერო სტატიების დაბალი პროდუქტიულობა საერთაშორისო დონეზე. კერძოდ, ქართული სამეცნიერო ნაშრომების დაბალი ციტირება. Scimago Journal & Country Rank-ის მიხედვით, საქართველოს ამ მაჩვენებლით 81-ე ადგილი უკავია. გასულ საანგარიშო პერიოდში ეს საკითხი უნივერსიტეტისთვისაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ყურადსაღებ საკითხად იქნა მიჩნეული,

	შესაბამისად, მიმდინარეობს მუშაობა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წამახალისებელი და მხარდამჭერი ღონისძიებების შესამუშავებლად, მათ შორის, სამეცნიერო სტატიების ბეჭდვის დაფინანსების, პროფესორების ხელფასში სამეცნიერო აქტივობების გათვალისწინების, პერსპექტიული ახალგაზრდა მკვლევრების ხელშეწყობის, დასაქმების და სხვა. ამ მიზნით გამოიცა რექტორის ბრძანება ციტირების ინდექსის გაზრდის ხელშეწყობისათვის პრემირების სისტემის შემოღების შესახებ. პრემირება განხორციელდება სამ წელიწადში ერთხელ. მომზადებულია, ასევე, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტანდარტი, რომელიც არეგულირებს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, მისი მართვისა და ფინანსირების საკითხებს და უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევების ხარისხის განვითარებასა და საგანმანათლებლო საქმიანობასთან ინტეგრირებას. საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით მუშაობა რამდენადმე შეაფერხა ქვეყანაში შექმნილმა ეპიდემიოლოგიურმა ვითარებამ. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტის არ შესრულდა**

აქტივობა 2.2.1	**ცოდნის გაზიარების პლატფორმის - GRUNI TALKS , შექმნა და გააქტიურება**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	**შემთხვევის ანალიზი** საკითხის შესწავლისა და შეფასების მიზნით გამოყენებულ იქნა შემთხვევის ანალიზი, რომელიც იძლევა კონკრეტული შემთხვევის/გადაწყვეტილების მიღებისა და მის შესრულებაზე დაკვირვების შესაძლებლობას. შესწავლილ იქნა შესაბამისი კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება და მისი შესრულების მდგომარეობა.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	აღნიშნული პლატფორმის დამუშავების შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა პროფილურ კომპანიასთან, საკითხის მოსაგვარებლად მათ მიერ აქამდე განხორციელებული მცდელობები დასრულდა

	წარუმატებლად. მიმდინარეობს სხვა კომპანიების მოძიება. **დასკვნა: სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ეს პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 2.2.2	**Ontario science centre-თან პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბება**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / **6 თვეში ერთხელ**
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ ანკეტირების მეშვეობით გამოიკითხა ადმინისტრაციაში აღნიშნული საკითხის უშუალო განმახორციელებლი სტრუქტურის - სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის - პერსონალი. შესწავლილ იქნა შესაბამის კომპანიასთან თანამშრომლობისა და აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად გაწეული საჭირო პროცედურები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა 2018-2019 სასწავლო წელს დაიწყეს მოლაპარაკებები **Ontario science centre-თან** და თანამშრომლობისათვის საჭირო პროცედურების მოსამზადებლად შესაბამისი დოკუმენტაციის/ ხელშეკრულების შემუშავება. კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებით, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად საჭირო პროცედურები (მათ შორის, მივლინება საზღვარგარეთ) გადაიდო შემდეგი პერიოდისთვის. **დასკვნა: სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ეს პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 2.2.3	**Science Publish Corporation- თან პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბება**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ **6 თვეში ერთხელ**
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ. ანკეტირების მეშვეობით გამოიკითხა ადმინისტრაციაში აღნიშნული საკითხის უშუალო განმახორციელებლი სტრუქტურის - სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის - პერსონალი. შესწავლილ იქნა შესაბამის კომპანიასთან თანამშრომლობისა და აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად გაწეული საჭირო პროცედურები და

	დოკუმენტები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	**მონიტორინგის შედეგი (მოკლე აღწერა):** უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა 2018-2019 სასწავლო წელს დაიწყეს მოლაპარაკებები **Science Publish Corporation- თან** და თანამშრომლობისათვის საჭირო პროცედურების მოსამზადებლად შესაბამისი დოკუმენტაციის/ ხელშეკრულების შემუშავება. კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებით, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად სხვა საჭირო პროცედურები (მათ შორის, მივლინება საზღვარგარეთ) გადაიდო შემდეგი პერიოდისთვის. **დასკვნა: სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ეს პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 2.2.4	**ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტთან ერთად, უნივერსიტეტში, ევრაზიის ტრადიციული ფორუმის ჩატარების ორგანიზება**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / ივნისი, 2020
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი რაოდენობრივი მონაცემების შესაგროვებლად სპეციალურად შემუშავებული დახურული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა სამიზნე ჯგუფის წევრები/ფორუმის მონაწილეები და ორგანიზატორები, საერთაშორისო ინტეგრაციის სამსახურის თანამშრომლები, სულ კვლევის 36 მონაწილე. დოკუმენტურად შესწავლილ იქნა ფორუმის კრებულად გამოცემული ფორუმის მასალები, ასევე, ოფიციალური ვებგვერდი.

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, ევრაზიის სამეცნიერო მულტიდისციპლინური ფორუმი მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში ტრადიციად დამკვიდრებული შეკრებაა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერსა და მკვლევარს ახალ აღმოჩენებსა და მიღწევებზე სასაუბროდ, უპირატესად, ახალგაზრდა მკვლევრებს, დოქტორანტებს. ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტთან (მაკედონია) მრავალწლიანი თანამშრომლობა სულ უფრო საინტერესოსა და მასშტაბურს ხდის მეცნიერთა ამ შეკრებას. მეცხრე მულტიდისციპლინურ ფორუმს 2019 წლის 4-5 სექტემბერს გრუნის ბათუმის წარმომადგენლობა მასპინძლობდა. ფორუმის ფარგლებში რამდენიმე სექცია მუშაობდა: პოლიტიკა, ეკონომიკა, სამართალი, განათლება, ჯანდაცვა. ბოლო სექცია კი დაეთმო სხვადასხვა თემას, რომელმაც დამსწრეთა მაღალი ინტერესი გამოიწვია. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის პროფესორებთან და დოქტორანტებთან ერთად, ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ტექნიკური უნივერსიტეტისა და საქართველოს უნივერსიტეტის, მეცნიერები. საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო უცხოელი კოლეგების მოხსენებები და მათთან გამართული საქმიანი შეხვედრები: **ტეხასის უნივერსიტეტის** (აშშ) პროფესორის ბეთ გარსიას მოხსენება ეხებოდა ექსპერიმენტული სწავლების საკითხებს, აღნიშნული პრობლემატიკით დაინტერესდნენ გრიგოლ რობაქიძის უნივერსტეტის ახალგაზრდა მეცნიერები და დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობა. პარტნიორული ურთიერთობის საკითხები განიხილეს, აგრეთვე, **ლატვიის უნივერსიტეტის** რექტორთან ირენა კოკინასთან, რომელმაც ფორუმზე საინტერესო კვლევის შედეგები წარუდგინა კოლეგებს. ფორუმის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ **ევროპისა და თურქეთის მეცნიერებიც.** ფორუმი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მასში აკადემიურ პერსონალთან ერთად ახალგაზრდა მეცნიერები და დოქტორანტებიც მონაწილეობდნენ და საერთაშორისო ინტეგრაციის თვალსაზრისით მათ საუკეთესო გამოცდილება მიიღეს. https://gruni.edu.ge/main/news/1568115972 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტის შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.2.6	**ერთობლივი სამეცნიერო ჟურნალის დაარსება უცხოეთის პარტნიორ უნივერსიტეტთან**

მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში გამოიკითხა შესაბამისი სამსახურების: სამეცნიერო ცენტრის, საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის, ხარისხის განვითარების სამსახურის, საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელები, ასევე, დეკანები, აკადემიური პერსონალი (11). შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: გამოცემული ჟურნალები, ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით: საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურებით უნივერსიტეტი ამკვიდრებს მაღალ სამეცნიერო-კვლევით კულტურასა და ამზადებს თანამედროვე კომპეტენციით აღჭურვილ ახალგაზრდა მეცნიერებს, რომლებიც თავის წილ პასუხისმგებლობას აიღებენ ქვეყნის წინაშე და ამავდროულად, უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობით წარმატებას მიაღწევენ საერთაშორისო ასპარეზზე. **საანგარიშო პერიოდში გამოცემული ერთობლივი სამეცნიერო პუბლიკაციები:** **2020 წლის 6 მაისი** გამოიცა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ვურცბურგის იულიუს მაქსიმილიანეს სახელობის უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო კრებული: "**ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და კონსტიტუციური სტანდარტები".** https://gruni.edu.ge/main/news/1588826152 **020 წლის 10 აპრილს** გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამართლის პროგრამის ფარგლებში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მონაწილეობით გამოიცა მეთოდოლოგიური გზამკვლევი - ***სახელმწიფო მოწყობის სამართალი,*** სტუდენტებისა და ლექტორებისათვის. კრებულში წარმოდგენილია საზაფხულო სკოლის ფარგლებში ქართველი და გერმანელი მეცნიერების მიერ წაკითხული ლექციები ადამიანის უფლებათა დაცვის აქტუალური საკითხების, ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. https://gruni.edu.ge/main/news/1586496942 2020 წლის 20 ივნისს მომზადდა და გამოქვეყნდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის - **"საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალის",** 2020 წლის სპეციალური

	გამოცემა, რომელიც მიეძღვნა საგანგებო მდგომარეობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირებისა და ასეთ ვითარებაში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს. ჟურნალში მოცემულია ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები, რომლებიც, ასევე, ქვეყნდება „Heinonline"- ის სამართლებრივი სტატიების საერთაშორისო საძიებო სისტემაში. „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი" გამოიცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე და განკუთვნილია სამართლის სფეროში მოღვაწე მეცნიერების, ექსპერტებისა და სტუდენტებისათვის. https://gruni.edu.ge/main/news/1592669421 ევროკავშირის სამართლის სწავლებისა და აკადემიური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე, ჰამბურგის უნივერსიტეტის ევროპის კოლეჯმა ქართულ უნივერსიტეტებთან, მათ შორის, გრუნისთან ერთად, 2019 წლის ოქტომბერში გამოსცა ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, რომლის ავტორები არიან გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ლექტორი - გიორგი მირიანაშვილი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი - ალექსანდრე დევიძე. https://gruni.edu.ge/main/news/1572591925 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა მეტწილად**

აქტივობა 2.2.7	**Online და smart ორიენტირებული ბლოგური სისტემების დანერგვა**
მონიტორინგის პერიოდი	2020-2021 სასწავლო წელი / 1 მარტი, 2021
კვლევის მეთოდი	შემთხვევის ანალიზი, დოკუმენტების ანალიზი. შემთხვევის ანალიზით შემოწმდა ბლოგური სისტემების დანერგვასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება და მისი შედეგები. დოკუმენტების ანალიზის მეთოდით შემოწმდა ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	2019 წლის ნოემბერში უნივერსიტეტის ვებგვერდზე შეიქმნა გვერდი სახელწოდებით აქცენტები: ბლოგი, ინტერვიუ, ვებინარი და ამ პერიოდიდან ქვეყნდება სტუდენტების, უცხოელი პარტნიორებისა თუ ახალგაზრდა მკვლევრების ბლოგები აქტუალურ საკითხებზე, ვებინარები და ინტერვიუები. „აკადემიური ბლოგი" არის მედია საკომუნიკაციო საშუალება,

	რომელიც სტუდენტებსა და პროფესორებს აძლევს საშუალებას მოახდინონ თავიანთი ცოდნისა და იდეების კომუნიკაცია ფართო აუდიტორიასთან და მოახდინონ საზოგადოებაზე პოზიტიური ზეგავლენა. მიმდინარეობს ამ სისტემის შემდგომი განვითარება. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.2.8	**ჰარვარდის ბიზნესსკოლასთან, აფილირების ფარგლებში, თანამშრომლობის გაგრძელება და ერთობლივ კვლევებში ჩართვა**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ ივნისი, 2020
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კოვიდ-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად საჭირო პროცედურები გადაიდო შემდეგი საანგარიშო პერიოდისთვის. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 2.3.1	**სასწავლო-კვლევითი ლაბი - კრიპტო ვალუტის, მაინინგის ფერმის მოწყობა**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ ივნისი, 2020
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა საანგარიშო პერიოდში, გამოიკითხა შესაბამისი ერთეულის წარმომადგენლები.

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გასულ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა განახორციელა გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოები აღნიშნულ საკითხზე მუშაობის დასაწყებად. თუმცა, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებით, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო. ამ მიზნის განხორციელება გადაიდო შემდეგი საანგარიშო პერიოდისთვის. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 2.3.2	**სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების შექმნა**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ ივნისი, 2020
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტაციის ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გასულ საანგარიშო პერიოდში შეიქმნა იუვენოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში კოვიდ-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად საჭირო პროცედურები გადაიდო შემდეგი საანგარიშო პერიოდისთვის. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 2.3.4	**დოქტორანტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება**

მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / ივლისი, 2020
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში ანკეტირებით (დახურული კითხვების მეშვეობით) ონლაინ გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი - სადოქტორო პროგრამების სტუდენტები (15), შემოწმდა კონფერენციის მასალები, გამოცემული კრებული, ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, უნივერსიტეტს გააჩნია შესანიშნავი ტრადიცია და ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტთან ერთად, 8 წელზე მეტია ატარებს ევრაზიიის მულტიდისციპლინარულ ფორუმს მიზნობრივად დოქტორანტების სამეცნიერო აქტივობის ხელშეწყობის მიზნით, თუმცა აქ მონაწილეობას იღებენ მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილი მეცნიერებიც, რაც კიდევ უფრო ზრდის დოქტორანტთა პასუხისმგებლობას და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაციის არეალს. **საანგარიშო პერიოდში, 2019 წლის 4-5 სექტემბერს,** მეცხრე მულტიდისციპლინურ ფორუმს გრუნის ბათუმის წარმომადგენლობა მასპინძლობდა. ფორუმში სხვადასხვა მიმართულების 7 დოქტორანტი მონაწილეობდა. ფორუმს ესწრებოდნენ გრუნის რექტორი, პროფესორი მამუკა თავხელიძე, ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი ჯოვანი შოპოვსკი და მაკედონიის უნივერსიტეტის პროფესორი დეჟან მაროლოვი. ფორუმის ფარგლებში რამდენიმე სექცია მუშაობდა: პოლიტიკა, ეკონომიკა, სამართალი, განათლება, ჯანდაცვა. ბოლო სექცია კი დაეთმო სხვადასხვა თემას, რომელმაც დამსწრეთა მაღალი ინტერესი გამოიწვია. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის პროფესორებთან და დოქტორანტებთან ერთად, ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ტექნიკური უნივერსიტეტისა და საქართველოს უნივერსიტეტის, მეცნიერები. საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო უცხოელი კოლეგების მოხსენებები და მათთან გამართული საქმიანი შეხვედრები: ტეხასის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორის ბეთ გარსიას მოხსენება ეხებოდა

	ექსპერიმენტული სწავლების საკითხებს, აღნიშნული პრობლემატიკით დაინტერესდნენ გრიგოლ რობაქიძის უნივერსტეტის ახალგაზრდა მეცნიერები და დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობა. პარტნიორული ურთიერთობის საკითხები განიხილეს, აგრეთვე, ლატვიის უნივერსიტეტის რექტორთან ირენა კოკინასთან, რომელმაც ფორუმზე საინტერესო კვლევის შედეგები წარუდგინა კოლეგებს. ფორუმის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ევროპისა და თურქეთის მეცნიერებიც. ფორუმი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მასში აკადემიურ პერსონალთან ერთად ახალგაზრდა მეცნიერები და დოქტორანტებიც მონაწილეობდნენ და საერთაშორისო ინტეგრაციის თვალსაზრისით მათ საუკეთესო გამოცდილება მიიღეს. https://gruni.edu.ge/main/news/1568115972 **2020 წლის 26 ივნისს** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და *ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოების მონაწილეობით გაიმართა* საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ვიქტიმოლოგიის აქტუალური საკითხები", რომელშიც პროფესორ-მასწავლებლ;ებთან ერთად ახალგაზრდა მკვლევრები, დოქტორანტებიც მონაწილეობდნენ (5 დოქტორანტი) . https://gruni.edu.ge/main/news/1593834694 სულ საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობდა 12 დოქტორანტი. **დასკვნა: მონიტორინგი ჩატარდა დროულად, სამოქმედო გეგმის ამ პუნქტის შესრულება შესაძლებელია ჩაითვალოს სრულად.**

აქტივობა 2.3.5	**ინოვაციური კვლევითი ტექნოლოგიების გამოყენების საკითხებზე ტრენინგების ჩატარება**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი /ივნისი, 2020

კვლევის მეთოდი	ონლაინ გამოკითხვა.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო აღნიშნული მიზნის განხორციელება გადაიდო შემდეგი პერიოდისთვის. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 2.3.6	**მთარგმნელობითი ცენტრის შექმნა ახალგაზრდა მეცნიერების შემადგენლობით**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ივნისი, 2020
კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი. შემოწმდა ცენტრის შექმნის თაობაზე არსებული დოკუმენტაცია და პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება, ასევე, დებულება და სხვა დოკუმენტები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საანგარიშო პერიოდში მთარგმნელობითი ცენტრის ნაცვლად შეიქმნა მთარგმნელობითი ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებული არიან ახალგაზრდა მეცნიერები, ლინგვისტები. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა**

აქტივობა 2.3.7	**ნიჭიერ დოქტორანტებთან ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტის მიერ მათი სწავლის დაფინანსებას და დოქტორანტის მუშაობის დაწყებას აკადემიურ თანამდებობაზე ხარისხის მინიჭების შემდეგ.**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / **6 თვეში ერთხელ**

კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტაციის ანალიზი. სტრუქტურირებული (დახურული) კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა აღნიშნული საკითხის უშუალო განმახორციელებლი სტრუქტურის - სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის - ხელმძღვანელი, სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი, სწავლული მდივანი. ასევე, დეკანები (7) , შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია, ხელშეკრულებები და სხვა.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა მიერ აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის ყოველდღიური საგანმანათლებლო საქმიანობის ნაწილია ნიჭიერი დოქტორანტების მხარდაჭერა, რაც, შესაბამისად, პროფესიონალი კადრების გრუნიში მოზიდვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. საანგარიშო პერიოდში შესაბამისი სამსახურებისა და დეკანატების მიერ შეირჩა და სამეცნიერო საბჭოს წარედგინა დოქტორანტთა კანდიდატურები ხელშეკრულებების გაფორმების, დაფინანსებისა და ხარისხის მინიჭების შემდეგ, კონკურსის საფუძველზე აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ. საანგარიშო პერიოდში ასეთი ხელშეკრულება დაიდო სამ დოქტორანტთან: ია ხურციძესთან, გიორგი მომცელიძესთან და არჩილ გამზარდიასთან. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.4.1	**პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის -TURNITINI, ინტენსიურად გამოყენება და, ეტაპობრივად, ყველა საგანმანათლებლო საფეხურზე დანერგვა**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ივნისი, 2020
კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	სანგარიშო პერიოდში დაიწყო პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის - TURNITINI-ის გამოყენება უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო საფეხურზე. შემოწმდა 16 ნაშრომი. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.4.2	**პლაგიატის აღმოჩენის უნარის გამომუშავების მიზნით ტრენინგების ორგანიზება მეცნიერ-ხელმძღვანელებისა და სტუდენტებისთვის**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	**კვლევის მეთოდი:** სტრუქტურირებული ინტერვიუ საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა გამოკითხვის მეთოდი და დახურული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა მიზნობრივი ჯგუფი, სტუდენტები და აკადემიური პერსონალი (24).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საანგარიშო პერიოდში გრძელდება ონლაინშეხვედრები სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის გასაცნობად. განხორციელდა როგორც ჯგუფური ონლაინშეხვედრების ორგანიზება პლაგიატის საკითხებთან დაკავშირებით. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.4.3	**ანტიპლაგიატის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის მომზადება და აკადემიური კომიტეტის სხდომაზე განხილვა**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ 1 მარტი, 2020 წელი
კვლევის მეთოდი	**კვლევის მეთოდი:** დოკუმენტაციის ანალიზი. საკითხის შესასწავლად შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: აკადემიური საბჭოს ოქმი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	ონლაინ აკადემიური კომიტეტის სხდომაზე მოსმენილ იქნა ანგარიში ანტიპლაგიატის მიმართულების განხორციელებული საქმიანობის შესახებ, გაწეული საქმიანობა შეფასდა დადებითად. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 3.1.2	**ბაზრის კვლევა პროფესიებზე მოთხოვნის შესასწავლად და შესაბამისი გადამზადების პროგრამების შემუშავება და განხორციელება**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ივნისი, 2020
კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის სამსახურმა განახორციელა შრომის ბაზრის კვლევა რამდენიმე სპეციალობის მიმართულებით: ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია, ფსიქოლოგია. კვლევის ანალიზის შედეგები დაედო საფუძვლად: ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის, აგრეთვე, ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამებში კორექტივების შეტანას. საანგარიშო პერიოდში, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდა საჯარო მმართველობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო გეგმების განახლება. სტუდენტებისთვის შეთავაზებული იქნა ისეთი სასწავლო დისციპლინები (მაგ.: იუვენოლოგიის პოლიტიკური ანალიზი. საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, საპარლამენტო სამართალი, დასაქმება და მიგრაცია და სხვა), რომელთა შესახებ თეორიული ცოდნის მოთხოვნა შრომის ბაზარზე არსებობს. გარდა ამისა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, მომზადდა საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა, რომელსაც მიენიჭა სრული აკრედიტაცია. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსები ასევე გამომდინარეობს შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან და მიზნად ისახავს კონკურენტუნარიან გარემოში სათანადო უნარების მქონე საჯარო მოხელეების მომზადებას. საანგარიშო პერიოდში ბიზნესისა და მართვის სკოლამ საქართველოს შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით განახორციელა შრომის ბაზრის რამდენიმე კომპონენტის ფუნდამენტური კვლევა. კერძოდ საანგარიშო პერიოდში მოხდა საქართველოს უსდ-ების კურსდამთავრებულთა კვლევა, დამსაქმებელთა კვლევა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების კვლევა. კვლევის შედეგები სამეცნიერო

	სტატიის სახით გამოიცემა საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში. ასევე კვლევის საფუძველზე 2022 წლის ბოლომდე გამოქვეყნდება მონოგრაფია, რომელიც შეეხება საქართველოში დამსაქმებლებსა და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობას. უნივერსიტეტის ადამიანის უფლებების კვლევითი ინსტიტუტი ასრულებს მუშაობას პროექტზე: „დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში“. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად**

აქტივობა 3.2.2	**სკოლის მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო - შემეცნებითი აქტივობების განხორციელება „Teen Academy”-ის ფარგლებში.**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი /ივლისი 2020
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ ონლაინ გამოიკითხნენ: მოსწავლეები, სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები (28).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, მოსწავლეების საგანმანათლებლო პროექტი , მოზარდთა აკადემია - „Teen Academy”, რომელიც გრუნის ყველაზე მასშტაბური პროექტია, წლების განმავლობაში სულ უფრო მეტ მასშტაბს იძენს და შინაარსობრივად მრავალფეროვან, პრაქტიკული ელემენტებით დატვირთულ პროგრამას სთავაზობს მოზარდებს. წელს პროექტის დაიწყო 2020 წლის თებერვალში, მაგრამ უნივერსიტეტში გამართული პირველი შეხვედრის შემდეგ აქტიურად ვეღარ გაგრძელდა და ონლაინფორმატით განაგრძო მუშაობა https://gruni.edu.ge/main/news/1582532938 **Teen Academy - 2020** **პროექტები და მონაწილეები:** გახდი ფსიქოლოგი - 120

	გახდი ჟურნალისტი - 45 გახდი სტომატოლოგი - 32 ბიზნესისა და მარკეტინგის საფუძვლები - 90 სულ მონაწილე: 287 ყველა მონაწილემ მიიღო 15%-იანი, ქართულ-ამერიკული აკადემიის (ვეტო) მოსწავლეებმა კი, გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, 20%-იანი საუნივერსიტეტო გრანტი. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 3.2.3	**საჯარო სამსახურის მოხელეთა საკონსულტაციო ცენტრის მუშაობის გაგრძელება და სამართლებრივი საკონსულტაციო მომსახურების პლატფორმის დამატება**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი /ივლისი 2020
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ ონლაინ გამოიკითხნენ: აკადემიური პერსონალი, სტუდენტები (20).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებით ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო, აღნიშნული მიზნის განხორციელება გადაიდო შემდეგი საანგარიშო პერიოდისთვის. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 3.2.4	**საექსპერტო მომსახურების გაფართოება სამართლისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ივნისი, 2020

კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი. შემოწმდა ჩატარებული ექსპერტული საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კრიმინალისტიკის სწავლებისა და ექსპერტიზის ცენტრი აგრძელებს ინტენსიურ ექსპერტულ საქმიანობას. ბიზნესადმინისტრირების მიმართულებით შეკვეთა არ ყოფილა. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა ნაწილობრივ.**

აქტივობა 3.2.5	**სოციალურად მოწყვლადი მოსახლეობისთვის უფასო ან შეღავათიანი მომსახურების გაგრძელება უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ კლინიკაში**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ივნისი, 2020
კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო არნიშნული მომსახურება არ განხორციელებულა. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 3.3.1	**სტუდენტთა მივლინება ევროპაში სასერტიფიკაციო კურსების გასავლელად**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ივნისი, 2020

კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი. გამოიკითხნენ სტუდენტები, საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრის თანამშრომლები (10)
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მნიშვნელოვან სიახლედ უნდა მივიჩნიოთ ევროპაში სასწავლო ტურების ორგანიზება, რითაც სტუდენტები იღებენ ახალ გამოცდილებას, იფართოებენ ცოდნის ჰორიზონტს, განავითარებენ სასწავლო მოტივაციას და სხვ. უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტები ყოველ სასწავლო წელს მიემგზავრებიან ევროპაში სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტში მონაწილეობის მისაღებად. კერძოდ: 2019 წელს საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის ქართულ-გერმანული სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ბელგიასა და ლუქსემბურგში იმყოფებოდნენ. გაეცნენ პარლამენტისა და ევროპული საბჭოს საქმიანობას, მუშაობის რეგლამენტს, შეხვდნენ აღნიშნული სტრუქტურების ოფიციალურ წარმომადგენლებს და სხვ. https://gruni.edu.ge/main/news/1565332018 2019 წელს გერმანიის კურტ ლოვენშტეინის საგანმანათლებლო დაწესებულების საბჭომ უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის სტუდენტს - ანა მანველიშვილს - საერთაშორისო ტრენერის სტატუსი მიანიჭა. https://gruni.edu.ge/main/news/1579246921 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად**

აქტივობა 3.3.2	**სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე შემუშავებული სასერტიფიკაციო პროგრამების განხორციელება**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტაციის ანალიზი. საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდები: სტრუქტურირებული ინტერვიუ და დოკუმენტაციის ანალიზი. დახურული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხნენ: სტუდენტები (32).

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	სამიზნე პოპულაცია დადებითად აფასებს უნივერსიტეტში პროფესიული გადამზადების პროგრამების ფუნქციონირებასა და რეგულარულ ტრენინგებს, სასერტიფიკაციო პროგრამებს დაემატა რამდენიმე პროგრამა, რომლებიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. დღეისათვის მიმდინარეობს სწავლება ამ მიმართულებებით. თუმცა კოვიდპანდემიამ საანგარიშო პერიოდში ეს პროცესი რამდენადმე შეაფერხა. http://www.gruni.edu.ge/footer_content/index/337/1447832303 **<u>კონკრეტული ღონისძიებები:</u>** სიმულაციურ ცენტრში სხვა სამედიცინო უნივერსიტეტების სტუდენტებისათვის უკვე ჩატარდა საერთაშორისო აკრედიტაციის ტრენინგი -EMS-CPR/AED. სასწავლო კურსს უძღვებოდა ფონდის გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამერიკული Health & Safety Institute-ის და საერთაშორისო ტრენინგცენტრის - EMS Safety Training Center - ავტორიზებული ინსტრუქტორი და საერთაშორისო ტრენერი ხალიანა ჟღენტი. მსმენელებმა გაიარეს პრე და პოსტტესტირება და სასწავლო კურსის: გულ-ფილტვის რეანიმაცია და ავტომატური გარეგანი დეფიბრილაცია, ფარგლებში ჩააბარეს გამოცდა პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში. https://gruni.edu.ge/main/news/1593068601 **2019 წლის 20 დეკემბერს** დასრულდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების კიდევ ერთი საზოგადოებრივი პროექტი ***ნოე სულაბერიძის საპროდიუსერო სახელოსნო*** გასაუბრების წესით შეირჩა ოცი მსმენელი. ისინი სამი თვის განმავლობაში ეუფლებოდნენ პროდიუსინგისა და სატელევიზიო წარმოების, მარკეტინგის, კომუნიკაციისა და გაყიდვების, ციფრული მედიის ფუნქციონირების თანამედროვე მეთოდებს. სასწავლო კურსს უძღვებოდნენ ნოე სულაბერიძე და სხვა მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები - კონსტანტინე ბათმანიდი და გურამ შეროზია. https://gruni.edu.ge/main/news/1577165438 **2019 წლის 7-8 დეკემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში დასრულდა ტრენინგის - „ეფექტური საქმიანი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე“, პირველი ეტაპი. ტრენინგკურსის მიზანი იყო მსმენელები ინგლისურ ენაზე გაცნობოდნენ ეფექტური საქმიანი კომუნიკაციის თავისებურებებს და შეეძინათ შესაბამისი უნარ-ჩვევები. ტრენინგის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ბიზნესინგლისური ენის B2 დონის კომპეტენციის მქონე პროფესორ-

	მასწავლებლები; მოდულის დასასრულს ჩატარდა შემაჯამებელი ტესტირება. https://gruni.edu.ge/main/news/1575959566 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 4.1.2	**უნივერსიტეტის ბიუჯეტის გაზრდა ქონების გაქირავებისა და მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებით**
მონიტორინგის პერიოდი	2019 წელი სრულად.
კვლევის მეთოდი	საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: დოკუმენტაციის ანალიზი. შემოწმდა გრუნის ქონების გაქირავებისა და მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	შემოწმებით დადგინდა, რომ გრუნის ქონების გაქირავებითა და სხვადასხვა მომსახურებით მიღებულმა შემოსავალმა 2019 წლის მონაცემებით შეადგინა **- 40 542 ლარი (წლის მონაცემები);** **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 4.1.3	**უნივერსიტეტის ბიუჯეტის გაზრდა გადამზადების სხვადასხვა პროგრამით მიღებული შემოსავლებით**
მონიტორინგის პერიოდი	2019 წელი სრულად.
კვლევის მეთოდი	საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: დოკუმენტაციის ანალიზი. შემოწმდა გრუნის გადამზადების პროგრამებით მიღებული შემოსავლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ გრუნის გადამზადების პროგრამებით მიღებულმა შემოსავლებმა, 2019 წლის მონაცემებით, შეადგინა **- 13 730 ლარი** (წლის მონაცემები).

	დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.

აქტივობა 4.1.5	**უნივერსიტეტის ბიუჯეტის გაზრდა ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტური საცხოვრებლიდან მიღებული შემოსავლებით**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი. საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: დოკუმენტაციის ანალიზი. შემოწმდა გრუნის ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტური საცხოვრებლიდან მიღებული შემოსავლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	შემოწმებით დადგინდა, რომ გრუნის ბათუმის წარმომადგენლობის საერთო საცხოვრებელი, ძირითადად, გამოყენებულია სალექციო კურსის ჩასატარებლად თბილისიდან ჩასული უნივერსიტეტის პროფესორ - მასწავლებლების დასაბინავებლად, ასევე, ბათუმის წარმომადგენლობაში ჩატარებული კონფერენციებისა და აქტივობების პერიოდში ჩასული სტუმრებისათვის, ანუ ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტური საცხოვრებლი გამოყენებამ უნივერსიტეტის მიზნებისთვის არაპირდაპირ უზრუნველყო უნივერსიტეტის შემოსავლების ზრდა. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა**

აქტივობა 4.2.2	**ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტური საცხოვრებლის, სასადილოსა და ეზოს მოპირკეთების დასრულება**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი. საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: დოკუმენტაციის ანალიზი. შემოწმდა გრუნის ბათუმის

	წარმომადგენლობის სტუდენტური საცხოვრებლის, სასადილოსა და ეზოს მოპირკეთებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	წარმომადგენლობამ დაასრულა სტუდენტური საცხოვრებლის, სასადილოსა და ეზოს მოპირკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად**

აქტივობა 4.3.2	**აფილირებული აკადემიური პერსონალის ეტაპობრივი გადაყვანა მუდმივ საშტატო ანაზღაურების სისტემაზე**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / ივნისი, 2020.
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი. საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: დოკუმენტაციის ანალიზი. შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	აფილირებული აკადემიური პერსონალის მუდმივ საშტატო ანაზღაურების სისტემაზე გადაყვანის პროცესი მიმდინარეობს. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა ნაწილობრივ.**

აქტივობა 4.4.1	**1C დოკუმენტბრუნვის პროგრამაში პერსონალის საქმიანობის მონიტორინგის პლატფორმის გააქტიურება**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ივნისი, 2020
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საანგარიშო პერიოდში, 1C დოკუმენტბრუნვის პროგრამაში პერსონალის საქმიანობის მონიტორინგის პლატფორმის გააქტიურების პროცესი არ დასრულებულა. მიმდინარეობს ამ პროგრამაზე მუშაობა.

	დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა ნაწილობრივ

აქტივობა 4.4.2	**მართვისა და მისი ეფექტიანობის შეფასების ელექტრონული პლატფორმის შექმნა და დანერგვა**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი/ივნისი, 2020
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საანგარიშო პერიოდში, მიმდინარეობს მართვისა და მისი ეფექტიანობის შეფასების ელექტრონული პლატფორმის შექმნასა და დანერგვაზე მუშაობა. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა**

აქტივობა 4.4.3	**პროფესიული განვითარების დიფერენცირებული პროგრამების განხორციელება აკადემიური პერსონალისთვის**
მონიტორინგის პერიოდი	2019-2020 სასწავლო წელი / ივნისი, 2020.
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: სტრუქტურირებული ინტერვიუ , დოკუმენტაციის ანალიზი. გამოიკითხა სწავლებაში მონაწილე აკადემიური პერსონალი (21) , შემოწმდა გრუნის ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	შექმნილია ახლად მიღებული პერსონალის პროგრამა, ადმინისტრაციული პერსონალის პროგრამა ქვეპროგრამებით, პროგრამის ხელმძღვანელების პროგრამა.

	საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პროფესიული განვითარების რამდენიმე ტრენინგი, კერძოდ: **2019 წლის 7-8 დეკემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში დასრულდა ტრენინგის - „ეფექტური საქმიანი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე“, პირველი ეტაპი. ტრენინგკურსის მიზანი იყო მსმენელები ინგლისურ ენაზე გაცნობოდნენ ეფექტური საქმიანი კომუნიკაციის თავისებურებებს და შეეძინათ შესაბამისი უნარ-ჩვევები. ტრენინგის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ბიზნესინგლისური ენის B2 დონის კომპეტენციის მქონე პროფესორ-მასწავლებლები; მოდულის დასასრულს ჩატარდა შემაჯამებელი ტესტირება. https://gruni.edu.ge/main/news/1575959566 **2019 წლის 20 დეკემბერს** დასრულდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების კიდევ ერთი საზოგადოებრივი პროექტი ***ნოე სულაბერიძის საპროდიუსერო სახელოსნო*** გასაუბრების წესით შეირჩა ოცი მსმენელი. ისინი სამი თვის განმავლობაში ეუფლებოდნენ პროდიუსინგისა და სატელევიზიო წარმოების, მარკეტინგის, კომუნიკაციისა და გაყიდვების, ციფრული მედიის ფუნქციონირების თანამედროვე მეთოდებს. სასწავლო კურსს უძღვებოდნენ ნოე სულაბერიძე და სხვა მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები - კონსტანტინე ბათმანიდი და გურამ შეროზია. https://gruni.edu.ge/main/news/1577165438 სიმულაციურ ცენტრში სხვა სამედიცინო უნივერსიტეტების სტუდენტებისათვის უკვე ჩატარდა საერთაშორისო აკრედიტაციის ტრენინგი -EMS-CPR/AED. სასწავლო კურსს უძღვებოდა ფონდის გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამერიკული Health & Safety Institute-ის და საერთაშორისო ტრენინგცენტრის - EMS Safety Training Center (http://www.emssafetyservices.com) - ავტორიზებული ინსტრუქტორი და საერთაშორისო ტრენერი ხალიანა ჟღენტი. მსმენელებმა გაიარეს პრე და პოსტტესტირება და სასწავლო კურსის: გულ-ფილტვის რეანიმაცია და ავტომატური გარეგანი დეფიბრილაცია, ფარგლებში ჩააბარეს გამოცდა პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში. https://gruni.edu.ge/main/news/1593068601 ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო, საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით მუშაობა რამდენადმე შეიზღუდა. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად**